კულტურული მემკვიდრეობის საგანგებო სიტუაციებისათვის მზადყოფნა: კანონმდებლობისა და ეროვნულ მუზეუმებში, არქივებსა და ბიბლიოთეკებში არსებული სიტუაციის ანალიზი

კვლევის ავტორები: სოფო გელავა,
მარიამ კალხიტაშვილი,
გიორგი მუმლაძე

© „ლურჯი ფარის“ საქართველოს ეროვნული კომიტეტი, 2017
© Blue Shield Georgia, 2017
ყველა უფლება დაცულია

www.blueshield.ge
info@blueshield.ge

წინასიტყვაობა

წინამდებარე კვლევა შეეხება კულტურის დაწესებულებებში საგანგებო სიტუაციებისთვის მზადყოფნასა და ამ მიმართულებით არსებული ეროვნული კანონდებლობის ანალიზს. კვლევის პირველ ნაწილში მოცემულია ინფორმაცია ეროვნულ მუზეუმებში, არქივებსა და ბიბლიოთეკებში არსებული უსაფრთხოების პოლიტიკის, კოლექციების უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციებისათვის პერსონალის მზადყოფნის შესახებ. კვლევის ამ ნაწილში გაანალიზებულია დედაქალაქსა და რეგიონებში არსებული 13 დაწესებულების საგანგებო სიტუაციებისათვის მზადყოფნა და ეფუძნება ამ ინსტიტუციების წარმომადგენლების მიერ შევსებულ წინასწარ მომზადებულ კითხვას.

კვლევის მეორე ნაწილი ეთმობა საგანგებო, საომარი, ბუნებრივი თუ ტექნოგენური კატასტროფების დროს საკანონდებლო ბაზისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე პასუხისმგებელი ორგანოების ფუნქციების მიმოხილვას. კვლევის ამ ნაწილში საუბარია კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებით სახელმწიფო პოლიტიკასა და ამ მიმართულებით აღებულ საერთაშორისო ვალდებულებებზე.

კვლევა ჩატარდა ლურჯი ფარის საქართველოს ეროვნული კომიტეტის მიერ შვედეთის ინსტიტუტის მხარდაჭერითა და ორგანიზაციასთან – "კულტურული მემკვიდრეობა საზღვრებს გარეშე" თანამშრომლობით, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხებისადმი მიძღვნილი მრგვალი მაგიდის ციკლის ფარგლებში.

ნაწილი I:

საგანგებო სიტუაციებისათვის მზადყოფნა; საქართველოს მუზეუმებში, არქივებსა და ბიბლიოთეკებში არსებული სიტუაციის ანალიზი

შინაარსი

1 შესავალი 9

2 მეთოდოლოგია 10

3 მთავარი მიგნებები 11

3.1 უსაფრთხოების პოლიტიკა 11
3.2 საგანგებო სიტუაციებში მოქმედების გეგმა 12
3.3 ექსპონატების უსაფრთხოება 12
3.4 პერსონალის მზადყოფნა 14
3.5 რისკების ანალიზის დოკუმენტი 14

4 კვლევაში ჩართული ინსტიტუციები 16

თბილისი 16

4.1 საქართველოს ეროვნული არქივი 16
4.2 საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა 17
4.3 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა 17
4.4 ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა 18
4.5 საქართველოს ეროვნული მუზეუმი 18
4.6 აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმი 20
4.7 გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა 20
და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი 20
4.8 კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს 20
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

რეგიონები

4.9 ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი 21
4.10 აჭარის ხელოვნების მუზეუმი 22
4.11 აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის 22
მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
4.12 ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი 23
4.13 გორის მუნიციპალიტეტის მერიის სერგი მაკალათიას 24
სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი

5 დასკვნა 25

6 რეკომენდაციები 27

7 დანართი 29

1 შესავალი

ლურჯი ფარის საქართველოს ეროვნული კომიტეტი შვედეთის ინსტიტუტის მხარდაჭერითა და ორგანიზაციასთან – „კულტურული მემკვიდრეობა საზღვრებს გარეშე" თანამშრომლობით, ახორციელებს პროექტს, რომლის ფარგლებშიც ეწყობა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხებისადმი მიძღვნილი მრგვალი მაგიდის ციკლი.

ერთ-ერთი მრგვალი მაგიდის თემად შეირჩა საგანგებო სიტუაციებისათვის მზადყოფნა საქართველოს მუზეუმებში, არქივებსა და ბიბლიოთეკებში და ამ მიმართულებით არსებული საკანონმდებლო ჩარჩოსა და არსებული სიტუაციის ანალიზი.

მრგვალ მაგიდას წინ უძღოდა კვლევა; მის მთავარ ინსტრუმენტს წარმოადგენდა ჩვენ მიერ შედგენილი კითხვარი, რომლის შევსება ვთხოვეთ შერჩეულ კულტურულ ინსტიტუციებს.

2 მეთოდოლოგია

კითხვარი მომზადდა ლურჯი ფარის წევრების მიერ საგანგებო სიტუაციებში კულტურული მემკვიდრეობის დაცვისადმი მიძღვნილი საერთაშორისო დოკუმენტების მიხედვით.

კვლევაში ჩართული იყო 13 ინსტიტუცია, აქედან 6-ის (საქართველოს ეროვნული არქივი, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი, თსუ ბიბლიოთეკა, ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა) კოლექციები ძირითადად ქაღალდის საფუძვლის მქონე დოკუმენტებისაგან/ექსპონატებისაგან შედგება, 7 არის მუზეუმი (ეროვნული მუზეუმი, აბრეშუმის მუზეუმი, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი, აჭარის ხელოვნების მუზეუმი, აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, გორის მუნიციპალიტეტის მერიის სერგი მაკალათიას სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი). ვეცადეთ რესპონდენტებს შორის ყოფილიყვნენ როგორც დიდი, ისე პატარა და ვიწრო პროფილის კოლექციების მქონე ინსტიტუციები.

ხელმძღვანელობას ვთხოვეთ, კითხვარის შევსება დაევალებინათ უსაფრთხოების მენეჯერების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან სხვა თანამშრომლებისათვის, რომლებიც კარგად იცნობენ ინსტიტუციაში დანერგილ უსაფრთხოების ზომებს. ზოგიერთმა ხელმძღვანელმა თავად შეავსო კითხვარი, ჩაიწერა რამდენიმე ინტერვიუ, რომლის დროსაც რესპონდენტებს საშუალება ჰქონდათ, უფრო მეტი მოეთხროთ ჩვენთვის.

3 მთავარი მიგნებები

3.1 უსაფრთხოების პოლიტიკა

შიდა უსაფრთხოების პოლიტიკის შესახებ განსხვავებული მოსაზრებები აქვთ კვლევაში ჩართულ ყველა ინსტიტუციაში. უმეტეს შემთხვევაში ასეთი ცალკე, წერილობითი დოკუმენტი არ არსებობს. ზოგან უსაფრთხოების პოლიტიკად აღიქმება ნორმატიული აქტები, რომელშიც დაფიქსირებულია ექსპონატების/დოკუმენტების შენახვის პირობები; ზოგ შემთხვევაში ეს შემოიფარგლება მხოლოდ საცავების გაღება-დალუქვის წესითა და არის ზეპირი, არაწერილობით განსაზღვრული პოლიტიკა, რომელიც ეფუძნება წინა წლებში დაგროვილ გამოცდილებას. მხოლოდ საქართველოს ეროვნულ მუზეუმში არსებობს უსაფრთხოების სამსახური (შეიქმნა 2008 წელს), რომელიც განსაზღვრავს უსაფრთხოების პოლიტიკას მუზეუმში და მასში შემავალ სტრუქტურებში.

3.2 საგანგებო სიტუაციებში მოქმედების გეგმა

	საქართველოს ეროვნული არქივი	საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა	ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა	საქართველოს ეროვნული მუზეუმი	აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმი	კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
მოქმედების გეგმა	+	-	+ (სახანძრო გეგმა)	+	+	-	- (არ აქვთ ჯერჯერობით)

3.3 ექსპონატების უსაფრთხოება

	საქართველოს ეროვნული არქივი	საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა	ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა	საქართველოს ეროვნული მუზეუმი	აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმი	კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
განგაშის სისტემა	+	+ (არა ყველა საცავში)	+	-	+	-	+ (მოძველებული სისტემა, რომლის განახლებაც დაგეგმილია ახალი შენობის აღჭურვისას)
ევაკუაციის გეგმა	+	+	-	-	+	-	-
კოლექციების დაზღვევა	- (ვერ ხდება კოლექციების შეფასება)	-	-	-	+ (დროებით, როცა კოლექცია დროებით სარგებლობაში გადაეცემა სხვა ინსტიტუციის)	- (დაზღვეულია მხოლოდ შენობა)	+ (დროებითი დაზღვევა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ექსპონატი ტოვებს ქვეყნის საზღვრებს)

გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძველთა დაცვის ეროვნული ავლაბრის ცენტრი	+ (სახანძრო განგაშის სისტემა)	-	-
ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი	-	+	-
აჭარის ხელოვნების მუზეუმი	-	+	-
აჭარის ხარიტონ ანგლოდიანის სახელობის მხარეთ-მცოდნეობის მუზეუმი	+ (ნაწილობრივ)	+	+
ხაშურის მხარეთ-მცოდნეობის მუზეუმი	-	-	-
გორის მუნიციპალიტეტის მერიის სერგი მაკალათიას სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი	-	-	+

გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძველთა დაცვის ეროვნული ავლაბრის ცენტრი	-		
ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი	+		
აჭარის ხელოვნების მუზეუმი	+		
აჭარის ხარიტონ ანგლოდიანის სახელობის მხარეთ-მცოდნეობის მუზეუმი	+		
ხაშურის მხარეთ-მცოდნეობის მუზეუმი	-		
გორის მუნიციპალიტეტის მერიის სერგი მაკალათიას სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი	-		

3.4 პერსონალის მზადყოფნა

	საქართველოს ეროვნული არქივი	საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა	ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა	საქართველოს ეროვნული მუზეუმი	აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმი	კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
ტრენინგი კოლექციების მენეჯერები და სხვა პერსონალი	+ (სწავლება ჩატარდა სახანძრო უსაფრთხ. თანამშ-რომლების მიერ)	+	-	-	+	- (ერთჯე-რადი ინსტრუ-ქცია)	-
ტრენინგი დაცვის პოლიციის თანამშრომ-ლებისათვის	-	-	-	-	+	-	+

3.5 რისკების ანალიზის დოკუმენტი

	საქართველოს ეროვნული არქივი	საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა	ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა	საქართველოს ეროვნული მუზეუმი	აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმი	კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
რისკების ანალიზის დოკუმენტი	-	+	-	-	+	-	+

გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული ავლაბრის ცენტრი	-	-
ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი	-	-
აჭარის ხელოვნების მუზეუმი	-	+
აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მხარეთ-მცოდნეობის მუზეუმი	+ (თანამშრომლებს ჩაუტარდათ დაცვის სისტემის გამოყენების ტრენინგი)	-
ხაშურის მხარეთ-მცოდნეობის მუზეუმი	-	-
გორის მუნიციპალიტეტის მერიის სერგი მაკალათიას სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი	-	-

გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული ავლაბრის ცენტრი	-	-
ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი	-	-
აჭარის ხელოვნების მუზეუმი	-	+
აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მხარეთ-მცოდნეობის მუზეუმი	-	-
ხაშურის მხარეთ-მცოდნეობის მუზეუმი	-	-
გორის მუნიციპალიტეტის მერიის სერგი მაკალათიას სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი	-	-

4 კვლევაში ჩართული ინსტიტუციები

თბილისი

4.1 საქართველოს ეროვნული არქივი

უსაფრთხოების პოლიტიკის შიდა დოკუმენტი ეროვნულ არქივში არ არსებობს, არის იუსტიციის მინისტრის მიერ დამტკიცებული ნორმატიული აქტი, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი დოკუმენტების შენახვის პირობები.

არქივში არ აქვთ უსაფრთხოების მენეჯერის ცალკე შტატი, სხვადასხვა ტიპის უსფრთხოებასთან დაკავშირებით ჰყავთ სხვადასხვა პერსონალი, კერძოდ, სახანძრო უსაფრთხოების თანამშრომლები და დაცვა-აღრიცხვის განყოფილების თანამშრომლები, რომლებიც პერიოდული რევიზიის დროს აწარმოებენ დოკუმენტების მდგომარეობის შეფასებას და საჭიროების შემთხვევაში იღებენ უსაფრთხოების ზომებს, მაგ.: ქიმიურ-ბიოლოგიური დაზიანების შემთხვევაში ექსპონატები გადააქვთ სარესტავრაციო განყოფილებაში.

უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირებს არ აქვთ საგანგებო სიტუაციებში მოქმედების გამოცდილება, რამდენიმე წვრთნა (როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული) ჩატარდა სახანძრო-უსაფრთხოების თანამშრომლების მიერ. ერთ-ერთი წვრთნის დროს თანამშრომლებს ასწავლეს, თუ როგორ უნდა იქნეს გამოყენებული სახანძრო კოშკის კიბე, როგორი უნდა იყოს მათი გადაადგილების მარშრუტი. როგორც თბილისში, ისე რეგიონებში თანამშრომლებმა იციან ცეცხლმაქრის გამოყენების წესი.

არქივის ინფორმაციით, ინსტიტუციაში დანერგილი/შემუშავებული უსაფრთხოების ზომების (იგულისხმება განგაშის სისტემა, ხანძრის შეტყობინებისა და ქრობის სისტემა, დაცვა-აღრიცხვის განყოფილების მიერ ჩატარებული პერიოდული შემოწმებები) გადახედვა ხშირად არ ხდება, რადგან წელიწადში ერთხელ შსს-ს სპეციალური ჯგუფი ატარებს შემოწმებას. მათი დასკვნა შეიძლება გახდეს სხვადასხვა ცვლილებების (მათ შორის უსაფრთხოების ზომებთან დაკავშირებული) განხორციელების საფუძველი. რისკების ანალიზის დოკუმენტი ეროვნულ არქივში არ არსებობს.

უსაფრთხოების დაცვისთვის საჭირო საინვესტიციო და მიმდინარე ხარჯების დასაფარი ბიუჯეტი, არქივის ხელმძღვანელის თქმით, გამოყოფილია, რაც ძირითადად კონდიცირება-ვენტილაციისა და სახანძრო სისტემების ექსპლუატაციას ხმარდება. არ არსებობს სპეციალური საგანგებო ევაკუაციისათვის საჭირო სახარჯი მასალების მარაგი.

უკვე ერთი წელია, ეროვნულ არქივში მოქმედებს განგაშის სისტემა, რომელსაც გავლილი აქვს ექსპერტიზა, სისტემის მონიტორინგს ახდენს სამეურნეო საბჭოს სპეციალური თანამშრომელი.

არქივის ხელმძღვანელობისათვის უცნობია, გადიან თუ არა დაცვის პოლიციის ეროვნული საგანძურის დაცვის სამმართველოს თანამშრომლები სპეციალურ მომზადებას საგანგებო სიტუაციებში მოქმედებისა და ექსპონატებთან მოპყრობის კონტექსტში.

საგანგებო სიტუაციებში მოქმედების გეგმა გათვლილია მხოლოდ ხანძარზე. დოკუმენტი შედგენილია სამეურნეო სამსახურის მიერ (რომელშიც შედის სახანძრო უსაფრთხოების ჯგუფიც). ექსპონატების ევაკუაციის გეგმა არსებობს, თუმცა მასზე წვდომა არ აქვთ თანამშრომლებს.

4.2 საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში არ არსებობს უსაფრთხოების პოლიტიკის შიდა დოკუმენტი, თუმცა დარწმუნებულნი არიან, რომ ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობა ახორციელებს უსაფრთხო პოლიტიკას. ბიბლიოთეკაში დაცულ ყველა მატერიალურ ფასეულობაზე პასუხისმგებელია ბიბლიოთეკის მართვის დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეული _ დაცვისა და უსაფრთხოების განყოფილება, ამ განყოფილების დებულება განსაზღვრავს იმ თანამშრომლების უფლება-მოვალეობებს, რომელთაც აქვთ საგანგებო სიტუაციებში მოქმედების გამოცდილება. კითხვაზე _ ამზადებს თუ არა, მინიმუმ წელიწადში ერთხელ, უსაფრთხოების მენეჯერი დოკუმენტს, რომელშიც მიმოიხილავს დაწესებულებაში ზოგადად დანერგილ/მიღებულ ზომებს, პასუხად მივიღეთ, რომ დაცვისა და უსაფრთხოების განყოფილების უფროსი კვარტალში ერთხელ ამზადებს ანგარიშს მიღებული უსაფრთხოების ზომების შესახებ.

ცალკე რისკების შემფასებელი დოკუმენტი არ არსებობს, თუმცა ბიბლიოთეკის ზოგად დებულებაში განხილულია შესაძლო საფრთხეები, რისკების ანალიზი პერიოდულად ხდება შსს-ს საგანგებო სიტუაციების სააგენტოსთან ერთად.

უსაფრთხოების ზომების დაცვისთვის საჭირო საინვესტიციო და მიმდინარე ხარჯების დასაფარად ბიბლიოთეკას არ აქვს ცალკე ბიუჯეტი.

ეროვნულ ბიბლიოთეკაში მოქმედებს განგაშის სისტემა ცალკეული ფონდებისათვის და მის მონიტორინგს ახდენს დაცვისა და უსაფრთხოების განყოფილების უფროსი.

რაც შეეხება თანამშრომლების მზაობას საგანგებო სიტუაციებისათვის, მხოლოდ დაცვისა და უსაფრთხოების თანამშრომლებმა იციან ცეცხლმაქრის გამოყენების წესი. მათ ხანძრის დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელობით ჩაუტარდათ წვრთნა ხანძრის იმიტაციის სახით. დაცვის სამსახურის თანამშრომლების გამოცდილების შესახებ საგანგებო სიტუაციებში მოქმედების დროს, თუმცა მათი როლი გაწერილია საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმაში.

საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმა შედგენილია დაცვისა და უსაფრთხოების განყოფილების მიერ და გათვლილია ხანძარზე, საცავებში ტექნიკურ გაუმართაობაზე და ა. შ.

რაც შეეხება ევაკუაციის გეგმას, ასეთი არსებობს და მასში გაწერილია როგორც თანამშრომლების, ისე განსაკუთრებული ფასეულობის მქონე ექსპონატების ევაკუაციაც. გეგმის განახლება ხდება პერიოდულად. გეგმის გაცნობა ხდება ბიბლიოთეკის ყველა თანამშრომლისათვის.

კოლექციები არ არის დაზღვეული.

4.3 თსუ-ს ბიბლიოთეკა

თსუ-ს ბიბლიოთეკაში, ხელმძღვანელობის თქმით, განსაზღვრულია უსაფრთხოების პოლიტიკა, თუმცა აქ იგულისხმება მხოლოდ საცავების გაღება-დალუქვის წესი. კოლექციების უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირებად დადგენილია მატერიალურად პასუხისმგებელი პირები (საცავის გამგეები), რომელთაც არ აქვთ საგანგებო სიტუაციებში მოქმედების გამოცდილება. არ არსებობს რისკების ანალიზის დოკუმენტი, ინსტიტუციაში არ არის გამოყოფილი ცალკე ბიუჯეტი უსაფრთხოების ზომების დაცვისთვის საჭირო საინვესტიციო და მიმდინარე ხარჯების დასაფარად. არსებობს განგაშის

სისტემა, რომლის მონიტორინგს ახდენს დაცვისა და უსაფრთხოების განყოფილება. ხელმძღვანელობისათვის უცნობია, გავლილი აქვთ თუ არა დაცვის სამსახურის წარმომადგენლებს სპეციალური წვრთნა საგანგებო სიტუაციებში მოქმედებისა და ექსპონატებთან მოპყრობის კონტექსტში.

არ არსებობს არც საგანგებო სიტუაციებში მოქმედების და არც ექსპონატების ევაკუაციის გეგმები; კოლექციები არ არის დაზღვეული; არასდროს ჩატარებულა წვრთნა საგანგებო სიტუაციებში მოქმედების შესახებ და პერსონალმა არ იცის ცეცხლმაქრების გამოყენების წესი.

4.4 ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა

მიმდინარეობს მუშაობა უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტის შექმნაზე, რომელიც დამყარებული იქნება ბიბლიოთეკის წინა წლების სამუშაო გამოცდილებაზე. კოლექციების უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირებად განსაზღვრულია წიგნსაცავის თანამშრომლები და მათი ხელმძღვანელი, რომლებსაც არ გაუვლიათ სპეციალური წვრთნა, თუმცა აქვთ საგანგებო სიტუაციებში მოქმედების გამოცდილება. თანამშრომლებმა იციან ცეცხლმაქრის გამოყენების წესი, არასდროს ჰქონიათ ხანძარსაწინააღმდეგო ცრუ განგაში წვრთნის მიზნით.

უსაფრთხოების ზომების დასაცავად საჭირო საინვესტიციო და მიმდინარე ხარჯების დასაფარად ბიბლიოთეკას აქვს ცალკე გამოყოფილი ბიუჯეტი, ასევე გარკვეული მასალების მარაგი, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს საგანგებო სიტუაციებში, თუმცა არასოდეს გაკეთებულა საგანგებო სიტუაციებში საჭირო მასალების კონკრეტული ჩამონათვალი და არ განსაზღვრულა მათი გამოყენების წესი.

ბიბლიოთეკაში არ არსებობს რისკების ანალიზის დოკუმენტი, არც საგანგებო სიტუაციებში მოქმედებისა და არც ექსპონატების ევაკუაციის გეგმები. ასევე არ აქვთ საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი განგაშის სისტემა, კოლექციები არ არის დაზღვეული.

4.5 საქართველოს ეროვნული მუზეუმი

2008 წელს ინსტიტუციური რეფორმების ფარგლებში შეიქმნა უსაფრთხოების შიდა სამსახური, რომელიც განსაზღვრავს უსაფრთხოების პოლიტიკას მუზეუმში და მასში შემავალ სტრუქტურულ ერთეულებში.

ფონდებში დაცული კოლექციების უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელია ფონდის კურატორი.

არსებობს ინსტრუქცია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პერსონალის უფლება-მოვალეობების შესახებ.

კოლექციების დაცვა-აღრიცხვის სამსახურის და შიდა უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა გაიარეს შესაბამისი ტრენინგები და გაეცნენ მუზეუმის კოლექციების კონსერვაციის პროგრამას.

წელიწადში ერთხელ უსაფრთხოების სამსახურის მიერ მზადდება ანალიტიკური დოკუმენტი მუზეუმში და მის დაქვემდებარებულ დაწესებულებებში უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე ჩატარებული ღონისძიებების შესახებ.

მუზეუმში შემუშავებულია საგანგებო სიტუაციების პერიოდში მოქმედების დოკუმენტი,

რომელშიც გათვალისწინებულია საორგანიზაციო ღონისძიებანი შესაძლო საფრთხეების შემთხვევაში, ასევე შედგენილია პერსონალის ევაკუაციის გეგმა, რომელიც არის გამოკრული თვალსაჩინო ადგილას მუზეუმის ადმინისტრაციულ შენობაში და საგამოფენო სივრცეების შემოსასვლელებთან თანამშრომლების სათანადო ურთიერთმოქმედებისათვის.

დოკუმენტი და ევაკუაციის გეგმა შედგენილია მუზეუმის შიდა უსაფრთხოების სამსახურის მიერ შესაბამის თანამშრომლებთან გავლილი კონსულტაციების გათვალისწინებით.

ევროკავშირის მხარდაჭერით 2010-2012 წწ. განხორციელებული დაძმობილების პროექტის (Twinning Project) ფარგლებში შემუშავდა 10 რისკ-ფაქტორის გავლენის შემცირების დოკუმენტი. გაწერილია ათივე რისკ-ფაქტორის პრევენციის სამოქმედო გეგმა.

ზემოთ აღნიშნული პროექტის ფარგლებში მოწვეული იყო გერმანელ სპეციალისტთა ჯგუფი. ჯგუფმა ჩაატარა ტრენინგი საქართველოს ეროვნული მუზეუმის თანამშრომლებისათვის. ტრენინგის ერთ-ერთი სავარჯიშო იყო ფონდსაცავებსა და საგამოფენო სივრცეებში შესაძლო საფრთხეების ანალიზი.

ტრენინგის დროს მიღებული გამოცდილება გათვალისწინებულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის პროექტებში.

უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის საჭირო ხარჯებს ახორციელებს მუზეუმის ადმინისტრაციაში შემავალი საფინანსო დეპარტამენტი, რაც გათვალისწინებულია ბიუჯეტით. მუზეუმის ტექნიკურ სამსახურს გააჩნია შესაბამისი მარაგი, რომელიც საჭირო იქნება საგანგებო სიტუაციების მოქმედებისას.

მუზეუმში შემუშავებულია საგანგებო სიტუაციებში მოქმედების გეგმა და განგაშის სისტემა, რომლის მონიტორინგს ახდენს შიდა უსაფრთხოების სამსახური. შემუშავებული სისტემა პასუხობს დაწესებულების ევაკუაციის შემთხვევაში შესაბამის მოთხოვნებს.

დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ეროვნული საგანძურის დაცვის სამმართველოს თანამშრომლებს უტარდებათ ტრენინგები; ისინი გაცნობილი არიან ევაკუაციის გეგმას და განგაშის სისტემას, რომლის გამოცხადების შემთხვევაში, მოქმედებენ შიდა უსაფრთხოების თანამშრომლებთან ერთად მუზეუმში შემუშავებული ინსტრუქციების სრული დაცვით.

სამოქმედო გეგმა შედგენილია მუზეუმის ადმინისტრაციის და შიდა უსაფრთხოების სამსახურის მიერ, რომელშიც გათვალისწინებულია მუზეუმის სპეციფიკიდან გამომდინარე ყველა სახის ღონისძიებანი.

ექსპონატების ევაკუაციის საკითხები გათვალისწინებულია საგანგებო სიტუაციებისათვის შემუშავებულ სამოქმედო გეგმაში.

მუზეუმის თანამშრომლებს აქვთ წვდომა ევაკუაციის გეგმაზე და ისინი გაცნობილი არიან საგანგებო სიტუაციისათვის გათვალისწინებულ ღონისძიებათა გეგმას.

საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული კოლექციები დაზღვეულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი დროებით სარგებლობაში გადაეცემა სხვა ინსტიტუციებს.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის საგანგებო სიტუაციებში მოქმედების გეგმა _ გეგმაში განხილულია დატბორვის, ხანძრისა და მიწისძვრის რისკები და მოცემულია შესაბამისი რეკომენდაციები მათი ზემოქმედების შესარბილებლად ეროვნული მუზეუმის თითოეული სტრუქტურული დანაყოფისათვის. თითოეული საგანგებო სიტუაციისათვის მოცემულია მზაობის რეკომენდაციები _ პრევენციის სტრატეგიის შემუშავება, რეაგირების გეგმის

შემუშავება და რეაგირება. დოკუმენტში მოცემულია, რას უნდა შეიცავდეს თითოეული ეტაპის სამოქმედო გეგმა, ინფორმაცია, რომელიც აუცილებლად მომზადებულ უნდა იქნას ეროვნული მუზეუმის თითოეული სტრუქტურული დანაყოფის მიერ _ საგანგებო სიტუაციებში საჭირო კონტაქტები, შიდასაავარიო აღჭურვილობის ჩამონათვალი და სხვ.

4.6 აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმი

აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმში არ არის შემუშავებული უსაფრთხოების შიდა პოლიტიკა, არ ჰყავთ განსაზღვრული უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პერსონალი და თანამშრომლებს არ გაუვლიათ სპეციალური წვრთნა საგანგებო სიტუაციებში მოქმედების შესახებ, თუ არ ჩავთვლით ერთჯერად მცირე კონსულტაციას სახანძრო უსაფრთხოების და პირველადი ღონისძიებების შესახებ მცირე ინციდენტის შემდეგ, როცა ელ. გაყვანილობას გაუჩნდა ცეცხლი. დღესდღეობით მუზეუმის თითქმის ყველა თანამშრომელმა იცის ცეცხლმაქრის მოხმარების წესი, თუმცა ამ მხრივ განსხვავებული ვითარება იყო ინციდენტამდე.

მუზეუმში არ არსებობს რისკების ანალიზის დოკუმენტი, არ მოქმედებს განგაშის სისტემა და არ აქვთ საგანგებო სიტუაციებში მოქმედების გეგმა (თუმცა არის პირობითად მოაზრებული პერსონალი, რომელიც იმოქმედებს მხოლოდ ხანძრის შემთხვევაში), ასევე არ არის შემუშავებული ექსპონატების ევაკუაციის გეგმა.

დაზღვეულია მხოლოდ შენობა ხანძრისა და სტიქიურ უბედურებებზე (მიწისძვრა, წყალდიდობა); ხელშეკრულებაში არ არის მითითებული თანხისა და ზარალის ლიმიტი, განსაზღვრულია საგანგებო სიტუაციის მინიმალური დონე, მიწისძვრის შემთხვევაში, მაგ.: არ ანაზღაურდება ზარალი, რომელიც მიადგა შენობას 4 ბალზე სუსტი მიწისძვრის დროს. შენობა შეფასებული და დაზღვეულია კერძო სადაზღვევო კომპანიის მიერ, რომელთანაც ყოველწლიურ კონტრაქტს აფორმებს მუზეუმი. რაც შეეხება დაზღვევის გადასახადს, ეს ჩადებულია ბიუჯეტში, რომელსაც მუზეუმი სახელმწიფოსგან გამოითხოვს.

4.7 გიორგი ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი

თითქმის ყველა ჩვენ მიერ დასმულ შეკითხვაზე მივიღეთ უარყოფითი პასუხი. ცენტრში არ არსებობს უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი და არ ტარდება მასთან დაკავშირებული ღონისძიებები, ცენტრს იცავს სახელმწიფო დაცვის პოლიცია და თანამშრომლებმა იციან ცეცხლმაქრის გამოყენების წესი.

4.8 კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში არ არსებობს უსაფრთხოების პოლიტიკის შიდა დოკუმენტი. კოლექციების უსაფთხოებაზე ზრუნავს როგორც დაცვის პოლიციის დეპარტამენტი და სიძველეთა დაცვის დეპარტამენტი, ისე ინსტიტუტის ყველა თანამშრომელი. დოკუმენტად, რომელშიც ზედმიწევნითაა განსაზღვრული უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პერსონალის უფლება-მოვალეობები, სახელდება ცენტრის საერთო დებულება. კოლექციების უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ

პერსონალს არ გაუვლია საგანგებო წვრთნა, არ ჰქონიათ ხანძრის იმიტაცია წვრთნის სახით, პერსონალმა იცის ცეცხლმარის გამოყენების წესი.

ცენტრის ახალი შენობისათვის უცხოელი ექსპერტების დახმარებით მომზადდა რისკების ანალიზის დოკუმენტი.

ცალკე ბიუჯეტი უსაფრთხოების ზომების დასაცავად საჭირო საინვესტიციო და მიმდინარე ხარჯების დასაფარად არ არის გამოყოფილი, ეს ხარჯები გათვალისწინებულია საერთო ბიუჯეტში. საგანგებო სიტუაციების დროს გამოსადეგი მასალები და აღჭურვილობა არსებობს, თუმცა არასრულად.

ცენტრის ძველ შენობაში ჰქონდათ განგაშის მოძველებული სისტემა, ახალი სისტემა დამონტაჟებულია ახალ შენობაში.

ცენტრში დასაქმებულ დაცვის პოლიციის ეროვნული საგანძურის დაცვის სამმართველოს თანამშრომლებს გავლილი აქვთ სპეციალურ საგანგებო სიტუაციებში მოქმედებისა და ექსპონატებთან მოპყრობის წვრთა.

ინსტიტუციაში არ არსებობს საგანგებო სიტუაციებში მოქმედების გეგმა და ექსპონატების ევაკუაციის გეგმა.

კოლექციების დაზღვევა ხდება დროებით, როცა საგამოფენოდ გადააქვთ სხვა ადგილას.

რეგიონული მუზეუმები

რეგიონის მუზეუმებიდან ჩვენ გამოვიკითხეთ:

1. ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი
2. აჭარის ხელოვნების მუზეუმი
3. აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
4. ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
5. გორის მუნიციპალიტეტის მერიის სერგი მაკალათიას სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი

4.9 ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი

ბათუმის არქეოლოგიურ მუზეუმში კოლექციების უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი სამეურნეო დარგში დირექტორის მოადგილეა, თუმცა უსაფრთხოების დარგში მისი უფლება-მოვალეობების განმსაზღვრელი დოკუმენტი აქ არ არსებობს.

საინტერესოა, რომ კოლექციების მენეჯერებს და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირს საგანგებო სიტუაციებში მოქმედების სპეციალური წვრთნა/განგაშის იმიტაცია არ გაუვლიათ, თუმცა მუზეუმის ტერიტორიაზე გამოკრულია საგანგებო სიტუაციებში მოქმედების დაფები, ევაკუაციის გეგმა და ცეცხლმაქრები, რომელთა მოხმარებაც მუზეუმის თითოეულმა პერსონალმა იცის. საგანგებო სიტუაციებში მოქმედების გეგმა საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მიერ არის შემუშავებული.

მუზეუმს არ აქვს რისკების შეფასების დოკუმენტი, რომელშიც განხილულია ექსპონატებისთვის ყველა შესაძლო საფრთხე და მთლიანად შენობის პერიმეტრი, ცალ-ცალკეა მიმოხილული საცავების, საგამოფენო სივრცეებისა და ლაბორატორიების რისკები.

მუზეუმის დირექტორის მოადგილე მუზეუმის დაცვის მექანიზმს მაღალ დონეზე აფასებს და აღნიშნავს, რომ თითოეულ ლაბორატორიასა და ფონდს აქვს დაცვის მექანიზმი, რაც გულისხმობს სიგნალიზაციის სისტემას, პერიმეტრის შესწავლას, განგაშის სისტემას, რომელიც საერთაშორისო სტანდარტებზეა მორგებული. თუმცა აღსანიშნავია, რომ დაწესებულებაში დასაქმებულ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ეროვნული საგანძურის დაცვის სამმართველოს თანამშრომლებს არ აქვთ გავლილი რაიმე სახის წვრთნა საგანგებო სიტუაციებში მოქმედებისა და ექსპონატებთან მოპყრობის შესახებ.

არქეოლოგიური მუზეუმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა კოლექციების დაზღვევის და ექსპონატების ევაკუაციის გეგმის არარსებობაა. დაზღვევა რომც არსებობდეს, არ არსებობს სივრცე, სადაც ექსპონატებს საჭიროების შემთხვევაში გადაიტანდნენ და შეინახავდნენ.

4.10 აჭარის ხელოვნების მუზეუმი

აჭარის ხელოვნების მუზეუმს უსაფრთხოების პოლიტიკა განსაზღვრული აქვს, კოლექციების უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი კი აქ მთავარი მცველია (კონსერვატორი). მისი უფლება-მოვალეობები სამუზეუმო კონცეფციაშია განსაზღვრული. უსაფრთხოების მენეჯერი მუზეუმის უსაფრთხოების ზომების შესახებ დოკუმენტს არ ამზადებს, რადგან მუზეუმი მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მიერ მომზადებული საგანგებო სიტუაციების დროს გასატარებელი ღონისძიებების შესახებ დოკუმენტით და მუზეუმის ადმინისტრაციის მიერ შედგენილი ევაკუაციის გეგმით. ევაკუაციის გეგმა ხანძრის შემთხვევაში ვიზიტორებისა და პერსონალის ევაკუაციაზეა გათვლილი. მუზეუმს ექსპონატების ევაკუაციის გეგმა არ აქვს.

სხვა მუზეუმების მსგავსად, აჭარის ხელოვნების მუზეუმშიც მუშაობს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ორი თანამშრომელი, რომლებსაც მუზეუმის დირექტორის განმარტებით, საგანგებო სიტუაციებში მოქმედებისა და ექსპონატებთან მოპყრობის თეორიული კურსი აქვთ გავლილი.

ხელოვნების მუზეუმს ასევე არ აქვს მასალების მარაგი, რომელიც საგანგებო სიტუაციებში მოქმედებისას ექსპონატების დაცვისთვის აუცილებელია. ეს შეიძლება იყოს შესაფუთი მასალები, კონტეინერები და სხვა. საცავებში მოთავსებული ექსპონატების დაცულობის ხარისხი მაღალია, რადგანაც მუზეუმის მთლიან ტერიტორიაზე მოქმედებს საგანგაშო ღილაკები, გარე პერიმეტრის ვიდეოკონტროლი, საგანგაშო ღილაკი და ცხელი ხაზის ტელეფონები.

დირექტორის თქმით, მუზეუმი დიდთოვლობის, სარდაფებში წყლის შედინების და სახურავიდან წყლის ჩადინების გამოწვევების წინაშე მდგარა, რომელთა დროსაც დახმარება მუზეუმს ბათუმის მერიამ აღმოუჩინა.

4.11 აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი

ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმში უსაფრთხოების საკითხებს კურირებს დირექტორის მოადგილე სამეურნეო დარგში, თუმცა კონკრეტულ პირებს პასუხისმგებლობა გადანაწილებული აქვთ:

,,ამ საკითხებს კურირებს დირექტორის მოადგილე სამეურნეო დარგში. ფონდების მთავარი შემნახველი ფონდებში არსებულ ექსპონატებზეა პასუხისმგებელი. განყოფილების გამგეები კი განყოფილებაში მყოფი ექსპონატების უსაფრთხოებაზე" _ ამბობს ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმის დირექტორი ოთარ გოგოლიშვილი.

არქეოლოგიური მუზეუმისა და ხელოვნების მუზეუმისგან განსხვავებით, ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმს აქვს ექსპონატთა საევაკუაციო გეგმა, რომლის გადახედვაც წელიწადში ერთხელ ხდება. დოკუმენტი მოიცავს ექსპონატების განლაგების შესახებ ინფორმაციას, მათ შენახვას, თითოეული ექსპონატისთვის ქიმიური პირობების შექმნასა და მათ გადატანას მუზეუმის სპეციალურ ბუნკერებში. გოგოლიშვილის თქმით, ფონდებში 180 000-ზე მეტი ექსპონატი ინახება, რომელთა დაცვა ადმინისტრაციისთვის უპირველესი ამოცანაა.

რეგიონის გამოკითხული მუზეუმებიდან ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმი ერთადერთია, რომელსაც რამდენიმე კოლექცია აქვს დაზღვეული. ესენია ძირითადად იარაღის ძვირად ღირებული კოლექციები. ექსპონატები დაზღვეულია დაბომბვის, წყალდიდობის, მიწისძვრის, საომარი მოქმედებებისა და კრიმინალისაგან. დაზღვევის ხელშეკრულება არ ითვალისწინებს კატასტროფის შემდგომ კოლექციების აღდგენის ხარჯებს.

რაც შეეხება დაცვის სისტემას, მუზეუმის თითოეულ დარბაზში არის განგაშის ღილაკები, რომლებიც დაცვის სამსახურთანაა მიერთებული. მუზეუმის გარე ტერიტორიას კი დაცვის პოლიცია სადღეღამისო მორიგეობით იცავს. გოგოლაშვილის განმარტებით, მუზეუმის თითოულმა პერსონალმა იცის ცეცხლმაქრის გამოყენება და მათ წვდომა აქვთ საგანგებო სიტუაციებში მოქმედებისა და ევაკუაციის გეგმასთან. დირექტორის ინიციატივით პერსონალს ჩაუტარდა დაცვის სისტემის გამოყენების ტრენინგიც.

4.12 გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი

გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს განსაზღვრული აქვს უსაფრთხოების პოლიტიკა. აგრეთვე არსებობს დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს მუზეუმის თითოეული თანამშრომლის უფლება-მოვალეობას. ამ დოკუმენტის მიხედვით, კოლექციების უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი არის ის მუშაკი, რომელსაც ბრძანებით ჩაბარებული აქვს ესა თუ ის დარგი.

მუზეუმს არ ჰყავს უსაფრთხოების მენეჯერი. მუზეუმის დაცვის უზრუნველყოფას, ხანძარსაწინააღმდეგო და სხვა ტექნიკის მუშაობას არეგულირებს მუზეუმის დირექცია.

რისკების ანალიზის დოკუმენტი არ არსებობს, თუმცა მუზეუმს 2017 წლის თებერვლისთვის დაგეგმილი აქვს ექსპერტთა ჯგუფის მოწვევა, რათა შემუშავდეს რისკების ანალიზის დოკუმენტი.

საგანგებო სიტუაციებში მოქმედებისთვის მუზეუმს აქვს ტენტი, ბრეზენტი, პირადი უსაფრთხოების აღჭურვილობა, ხანძარსაწინააღმდეგო დაფა და ცეცხლმაქრები. მუზეუმში მოქმედებს თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანილი დაცვის და ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა. მონიტორინგს ახორციელებს სახელმწიფო დაცვის პოლიცია.

საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმის სახით მუზეუმს აქვს შენობის საევაკუაციო გეგმა, რომელიც კერძო შპს-ს მიერ არის მომზადებული და გათვლილია ხანძრისა და სტიქიური უბედურებების დროს შექმნილ სიტუაციებზე.

მუზეუმს აგრეთვე აქვს ექსპონატების ევაკუაციის გეგმა და მასში ცვლილებების/ შესწორებების შეტანა ხდება შენობაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად. მუზეუმის კოლექციები დაზღვეული არ არის.

ევაკუაციის გეგმაზე მუზეუმის თანამშრომლებს აქვთ მუდმივი წვდომა და ხდება მათი ინფორმირება გეგმაში შეტანილი ცვლილებების შესახებ.

მუზეუმისთვის ყველაზე მძიმე და გადაულახავი საგანგებო სიტუაცია შეიქმნა 2008 წლის აგვისტოს ომის დროს. შეუძლებელი იყო ექსპონატების ევაკუაცია, ამიტომ ჩაიხურა ყველა კარი და ფანჯარა, მუზეუმის კედლიდან და ღობიდან მოიხსნა აბრა, მოიშალა მანიშნებლები, რათა თავიდან აცილებულიყო დარბევის საფრთხე.

რაც შეეხება პერსონალის მზადყოფნას, მუზეუმის თანამშრომლებს გავლილი აქვთ ლურჯი ფარის მიერ მოწყობილი ხანძრის და ცრუ განგაშის იმიტაცია, აგრეთვე ლურჯი ფარის ორგანიზებული ტრენინგი საგანგებო სიტუაციებში მოქმედების შესახებ.

4.13 ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი

რეგიონების გამოკითხული მუზეუმებიდან ყველაზე მძიმე მდგომარეობა ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია. აქ არ არსებობს არცერთი დოკუმენტი, რომლითაც ექსპონატებისა თუ თანამშრომლების უსაფრთხოება იქნება უზრუნველყოფილი. მუზეუმში მოქმედებს მარტივი ტიპის დაცვის სისტემა. პერსონალმა ცეცხლმაქრის მოხმარების წესებიც არ იცის.

5 დასკვნა

1-5 კომპონენტზე უარყოფითი პასუხი	1-5 კომპონენტზე უარყოფითი პასუხი	10-15 კომპონენტზე უარყოფითი პასუხი	15-18 კომპონენტზე უარყოფითი პასუხი
საქართველოს ეროვნული არქივი; საქართველოს ეროვნული მუზეუმი; საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.	კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.	ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა.	აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმი; გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი.

კვლევის შედეგად ცხადი გახდა, რომ ცნობიერება საგანგებო სიტუაციებასთვის მზაობის მნიშვნელობის შესახებ დაბალია და ამ მიმართულებას არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება; არ ხდება შესაძლო საფრთხეებისა და რისკების ანალიზი, ასევე მათი გადაჭრის გზებზე მუშაობა. კვლევაში ჩართული ინსტიტუციების წარმომადგენლებში დაბნეულობას იწვევს გამოყენებული, საგანგებო სიტუაციებთან დაკავშირებული ტერმინოლოგია, მაგ.: მათთვის არ არის ნათელი, რას გულისხმობს შიდა უსაფრთხოების პოლიტიკა, როგორც წესი, ეს ასოცირდება უსაფრთხოების პოლიტიკის მხოლოდ ცალკეულ კომპონენტებთან და დაკავშირებულია სხვა უწყების, კერძოდ, დაცვის პოლიციის ეროვნული საგანძურის დაცვის სამმართველოს თანამშრომლების საქმიანობასთან მათ დაწესებულებაში.

ხშირია კომუნიკაცია კულტურულ ინსტიტუციასა და მათთან დასაქმებული სხვა უწყების თანამშრომლების ხელმძღვანელობას შორის (მაგ.: მათ არ იციან უტარდებათ თუ არა დაცვის თანამშრომლებს სპეციალური წვრთნები), ასევე უსაფრთხოების მენეჯერებსა (ხშირად აქაც დაცვის პოლიციის ეროვნული საგანძურის დაცვის სამმართველოს თანამშრომლებს ან ფონდის მცველებს მოიაზრებენ) და ინსტიტუციის ხელმძღვანელობას, ასევე რიგით თანამშრომლებს შორის, არ ხდება რისკების ანალიზის დოკუმენტსა და საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმებში (არსებობის შემთხვევაში) ცვლილებების შეტანა და ამ ცვლილებების გაცნობა თანამშრომლებისათვის. საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმებზე ისევე, როგორც ექსპონატების საევაკუაციო გეგმებზე (არსებობის შემთხვევაში) წვდომა არ აქვთ რიგით თანამშრომლებს. ისეთ შემთხვევებში, როდესაც ინსტიტუციას აქვს საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმა, მასში ჩართული არიან დაცვის პოლიციის თანამშრომლები ისე, რომ ხელმძღვანელობისთვის უცნობია, იციან თუ არა მათ ექსპონატებთან მოპყრობის წესები ან შეუძლიათ თუ არა ელემენტარული ზოგადი უსაფრთხოების ზომების მიღება. თანამშრომლებს ზოგ შემთხვევაში საერთოდ არ უტარდებათ საგანგებო სიტუაციებში მოქმედებისა და ექსპონატებისათვის პირველადი დახმარების აღმოჩენის წვრთნები. მსგავსი შემთხვევები იმდენად არარეგულარულ ხასიათს ატარებს, რომ შემუშავებული უნარები დროთა განმავლობაში იკარგება.

საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმა (არსებობის შემთხვევაში) ხშირად მხოლოდ

ორ რისკ-ფაქტორზე, ქურდობასა და ხანძარზეა გათვლილი. ქურდობაზე მთლიანი პასუხისმგებლობა ეკისრება დაცვის პოლიციის ეროვნული საგანძურის დაცვის სამმართველოს, ხოლო ხანძარზე ხანძრის უსაფრთხოების სამსახურს (ზოგ შემთხვევაში შიდა სახანძრო სამსახურს).

თითქმის არცერთ ინსტიტუციას არ აქვს ცალკე ბიუჯეტი უსაფრთხოების ზომების დაცვისთვის საჭირო საინვესტიციო და მიმდინარე ხარჯების დასაფარად, არ აქვთ მარაგი, რომელიც საჭირო იქნება საგანგებო სიტუაციებში მოქმედებისას (მაგ.: შესაფუთი მასალები, კონტეინერები, ტენტი (ბრეზენტი), პირადი უსაფრთხოების აღჭურვილობა).

6 რეკომენდაციები

უსაფრთხოების პოლიტიკა

სასურველია უსაფრთხოების პოლიტიკა არსებობდეს ყველა ინსტიტუციაში, მიუხედავად იმისა, იღებენ თუ არა ზუსტ დირექტივებს შესაბამისი სამინისტროების ან სხვა უწყებებისგან, რათა თავიდან იქნეს აცილებული გაუგებრობები საგანგებო სიტუაციებში მოქმედების გეგმაში გასათვალისწინებელი ისეთი დეტალების შესახებ, რომლებიც მხოლოდ კონკრეტული ინსტიტუციის თანამშრომლებისათვის არის ცნობილი. უსაფრთხოების პოლიტიკის განსაზღვრა მეტწილად დამოკიდებულია ინსტიტუციის ხელმძღვანელზე.

კოლექციების უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პერსონალი

უსაფრთხოების მენეჯერების განსაზღვრას დიდი მნიშვნელობა აქვს საგანგებო სიტუაციებში ეფექტური და დროული რეაგირებისათვის, რადგან ამ დროს კოლექტიურმა პასუხისმგებლობამ შესაძლებელია გამოიწვიოს დაბნეულობა და საგრძნობლად შეანელოს რეაგირება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით კი შემთხვევიდან 48 კრიტიკული საათის განმავლობაში. სასურველია პერსონალის განსაზღვრასთან ერთად შედგეს დოკუმენტი, რომელშიც ზედმიწევნით იქნება გაწერილი პერსონალის უფლება-მოვალეობები.

რისკების ანალიზის დოკუმენტი

ადეკვატური და კოლექციების საჭიროებებზე მორგებული (ასევე სხვადასხვა საგანგებო სიტუაციებზე გათვლილი) სამოქმედო გეგმის შედგენისათვის, რომელიც წარმოადგენს მთავარ ინსტრუმენტს საგანგებო სიტუაციებთან გასამკლავებლად, აუცილებელია შედგეს რისკების ანალიზის დოკუმენტი, რომელშიც განხილული იქნება:

- ყველა შესაძლო საფრთხე, რომლებიც შესაძლოა ექსპონატებს დაემუქროს;
- თითოეული რისკის სიდიდის შეფასება;
- განსაზღვრული (მიგნებული) რისკების შესაძლო შემცირების სტრატეგიები;
- თითოეულ სტრატეგიასთან დაკავშირებული ხარჯებისა და სარგებლის ანალიზი.

საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმა _ სასურველია საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმის შედგენაში მონაწილეობას იღებდნენ როგორც ინსტიტუციის თანამშრომლები, ასევე უსაფრთხოების სამსახურები ან/და მოწვეული ექსპერტები, რომელსაც ექნება მსგავს გეგმებზე მუშაობის გამოცდილება. საგანგებო სიტუაციების გეგმაში ზედმიწევნით უნდა იყოს გაწერილი ყველა მოქმედი პირის უფლება-მოვალეობები და ქმედებების თანმიმდევრობა. რისკების ანალიზის დოკუმენტისა და საგანგებო სიტუაციებში მოქმედების გეგმების გადახედვა უნდა ხდებოდეს პერიოდულად (რათა თავიდან ავიცილოთ იმ ცვლილებების შესახებ არაინფორმირებულობა, რომლებმაც შეიძლება დააბრკოლოს საგანგებო სიტუაციებში მოქმედი გუნდი).

საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმა უნდა ფარავდეს შემდეგ პუნქტებს:

1. პრევენცია

აღმოფხვრას რისკები ან შეამციროს მათი შესაძლო ზემოქმედება თანამშრომლებსა და სტუმრებზე, კოლექციებსა და აქტივებზე.

2. მზადყოფნა

პერსონალის მომზადება და აღჭურვა, რათა წარმატებით გაუმკლავდნენ საგანგებო სიტუაციებს. მაგალითად, შეიქმნას იმ პირებისა და ორგანიზაციების სატელეფონო სიები, რომელთაც დაუკავშირდებიან საგანგებო სიტუაციებში; შეიქმნას ასევე მასალებისა და აღჭურვილობის მარაგი, თანამშრომლებისა და მოხალისეებისთვის ჩატარდეს ტრენინგი მათი გამოყენების შესახებ.

3. საპასუხო ქმედებები

შემთხვევის შემდგომი შესაძლო დაზიანებების თავიდან აცილება და დანაკარგების მინიმუმამდე დაყვანა. მაგალითად თანამშრომლებისა და მოხალისეების ტრენინგი ვიზიტორების, თანამშრომლების, კოლექციების და ჩანაწერების უსაფრთხოდ ევაკუაციის საკითხში.

4. აღდგენა

კადრების მომზადება და ტრენინგი, იმ პროცესების განსახორციელებლად, რომელიც უბრუნებს ოპერაციებს ნორმალურ სახეს. მაგალითად: კოლექციების დახარისხება და ექსპონატების ძირითადი გაწმენდითი სამუშაოების წარმოება შემთხვევის შემდეგ.

განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ექსპონატების სია

ეს არის ის მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც ხდება გადასარჩენი ექსპონატების თანმიმდევრობის განსაზღვრა, მისი არსებობა ერთ-ერთი პირობაა ეფექტური ევაკუაციისათვის.

7 დანართი

საერთაშორისო ISO სტანდარტები, რომლებიც გათვალისწინებულ უნდა იქნას უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავებისას :

1. ISO/TC 292 - CREATION OF A NEW ISO TECHNICAL COMMITTEE ON SECURITY (AS OF 2015-01-01)
2. სტანდარტების შექმნა
3. ISO GUIDE 73:2009 – MEANING OF THE WORD “SECURITY”
4. ISO 31000:2010 - RISK MANAGEMENT; PRINCIPLES AND GUIDELINES
5. ISO/TR 31004: 2013 - RISK MANAGEMENT — GUIDANCE FOR THE IMPLEMENTATION OF ISO 31000
6. ISO 31010: 2010 - RISK MANAGEMENT - RISK ASSESSMENT TECHNIQUES
7. EN ISO 22300:2014 -SOCIETAL SECURITY - TERMINOLOGY
8. ISO 22313:2012 -SOCIETAL SECURITY - BUSINESS CONTINUITY MANAGEMENT SYSTEMS -GUIDANCE
9. ISO 22315:2014 -SOCIETAL SECURITY — MASS EVACUATION — GUIDELINES FOR PLANNING
10. ISO/CD 22316.2 - SOCIETAL SECURITY – GUIDELINES FOR ORGANIZATIONAL RESILIENCE
11. ISO/DTS 22318:2015 - SOCIETAL SECURITY – BUSINESS CONTINUITY MANAGEMENT — GUIDANCE ON SUPPLY CHAIN CONTINUITY
12. ISO/CD 22319 -SOCIETAL SECURITY — EMERGENCY MANAGEMENT — INVOLVINGSPONTANEOUS VOLUNTEERS IN INCIDENTS - A GUIDANCE FRAMEWORK
13. ISO 22320: 2011 - SOCIETAL SECURITY — EMERGENCY MANAGEMENT — REQUIREMENTS FORINCIDENT RESPONSE
14. ISO 22322: 2015 -SOCIETAL SECURITY — EMERGENCY MANAGEMENT — GUIDELINES FORPUBLIC WARNING
15. ISO/DS 22325: 2015 -SOCIETAL SECURITY — EMERGENCY MANAGEMENT — GUIDELINES FOREMERGENCY MANAGEMENT CAPABILITY ASSESSMENT
16. ISO 22397: 2014 - SOCIETAL SECURITY — GUIDELINES FOR ESTABLISHING PARTNERINGARRANGEMENTS
17. ISO 22398:2013 - SOCIETAL SECURITY — GUIDELINES FOR EXERCISES
18. CEN EN 62198:2014 - MANAGING RISK IN PROJECTS - APPLICATION GUIDELINES

სასარგებლო ბმულები:

რისკების იდენტიფიკაცია, რისკის მენეჯმენტი, რისკებისათვის მზადყოფნა

1. Davies et. al. 2015, Towards disaster resilience: A Scenario based approach to co-producing and integrating hazard and risk knowledge, International Journal on Disaster Risk Reduction, Elsevier, P. 242-247
2. Jigyasu, R., 2006. Integrated Framework for Cultural Heritage Risk Management' in Disaster and Development, Volume 1, Number 1, November 2006, Journal of the National Institute of Disaster Management, New Delhi
3. Jigyasu R., 2015, Building resilience by reducing disaster risks to cultural heritage: http://www.preventionweb.net/experts/guest/collection/44401
4. Building an Emergency Plan: A Guide for Museums and Other Cultural Institutions: http://www.getty.edu/conservation/publications_resources/pdf_publications/pdf/emergency_plan.pdf
5. Catherine S., Emergency Preparedness and Salvage in the Event of Armed Conflict, MUSEUM SOS: http://museum-sos.org/docs/strat_emergency_preparedness.pdf
6. Climate Change Adaptation and Disaster Risk Reduction in Europe, Council of Europe: http://www.preventionweb.net/files/submissions/20591_governanceccriskeurope.pdf
7. Cordona, O., The need for rethinking the concepts of Vulnerability and Risk from a Holistic Perspective: A necessary review and criticism for effective risk management: http://www.la-red.org/public/articulos/2003/nrcvrfhp/nrcvrfhp_ago-04-2003.pdf
8. Disaster Risk Assessment: Methods and Response Plans for Cultural Heritages in Taiwan: http://protectheritage.com/Lisbon2011/wp-content/uploads/2011/12/Disaster-Risk-Assessment-methods-and-Response-Plans-for-Cultural-heritages-in-Taiwan-Poster.pdf
9. Emergency Planning: http://www.nps.gov/museum/publications/mhi/chap10a-b.pdf
10. FEMA: Integrating Historic Property and Cultural Resource Considerations into Hazard Mitigation Planning: https://www.fema.gov/medialibrary/assets/documents/4317
11. Framework for Preservation of Museum Collections, Canadian Conservation Institute: http://www.cci-icc.gc.ca/discovercci-decouvriricc/preventive/15-eng.aspx
12. Getting Ready in Indian Country: Emergency Preparedness and Response for Native American Cultural Resources: http://www.heritagepreservation.org/gettingready/docs/Getting-Ready-in-Indian-Country-Report.pdf
13. Guidelines for Disaster Preparedness in Museums: http://icom.museum/fileadmin/user_upload/pdf/Guidelines/guidelinesdisasters_eng.pdf
14. Handbook of Emergency Procedures, ICMS, ICOM: http://network.icom.museum/fileadmin/user_upload/minisites/icms/pdfs/English.pdf

15. Hladik, J., 2003. Risk-Preparedness Under the 1954 Hague Convention for the Protection of Cultural Property in the Event of Armed Conflict and its Second Protocol. International Symposium: Cultural Heritage Disaster Preparedness and Response, Hyderabad, India, ICOM.

16. Jigyasu R., Towards developing methodology for integrated risk management of cultural heritage sites and their settings:
http://www.international.icomos.org/xian2005/papers/2-16.pdf

17. Michalski, S., Care and Preservation of Collections, in: Running a Museum: A Practical Handbook (P.J. Boylan ed.), ICOM, 2004, pp. 51-90.:
http://icom.museum/uploads/tx_hpoindexbdd/practical_handbook.pdf

18. Obtaining the Knowledge and Establishing the Technology to Preserve Cultural Heritages and Historic Cities for Future Generations:
http://www.dpri.kyoto-u.ac.jp/gndw/list/2011/21.pdf

19. Preparing for Disaster: A New Education Initiative in Museum Emergency Preparedness and Response:
http://www.getty.edu/conservation/publications_resources/newsletters/19_2/news_in_cons2.html

20. Stovel, H., 1996. Risk Preparedness: a management manual for World Cultural Heritage,ICCROM, ICOMOS:
www.iccrom.org/pdf/ICCROM_17_RiskPreparedness_en.pdf

21. The protection of the architectural heritage against natural disasters, Council of Europe:
http://www.coe.int/t/dg4/cultureheritage/heritage/resources/Publications/Pat_PA_21_en.pdf

22. The 7 Cs of Communication:
http://www.mindtools.com/pages/article/newCS_85.htm

23. UNISDR 2009, UNISDR Terminology on Disaster Risk Reduction:
http://www.unisdr.org/files/7817_UNISDRTerminologyEnglish.pdf

24. Venice Declaration on Building Resilience at the Local Level towards Protected Cultural Heritage and Climate Change Adaptation Strategies:
http://www.preventionweb.net/files/25027_venicedeclaration.pdf

25. Wellheiser J.G., and J. Scott, An Ounce of Prevention: Integrated Disaster Planning for Archives, Libraries, and Record Centres:
http://books.google.co.uk/books?id=QWuISmi2Du8C&pg=PR5&source=gbs_selected_pages&cad=2#v=onepage&q&f=false

26. Worksheet for Outlining a Disaster Plan:
https://www.nedcc.org/free-resources/preservation-leaflets/3.-emergency-management/3.4-worksheet-for-outlining-a-disaster-plan

27. World Bank, 2008. Risk Preparedness for Cultural Heritage, World Bank Good Practice Notes:
http://siteresources.worldbank.org/CHINAEXTN/Resources/318949-1217387111415/Cultural_Heritage_en.pdf

28. Feilden B.M., Between two earthquakes:
http://www.getty.edu/conservation/publications_resources/pdf_publications/between_two.html

29. Charola, A. Elena, Corine Wegener, and Robert J. Koestler, editors, Unexpected Earthquake 2011: Lessons to Be Learned, Smithsonian Contributions to Museum Conservation, number 4: http://opensi.si.edu/index.php/smithsonian/catalog/book/47

30. Cultural Heritage Disaster Preparedness and Response: http://archives.icom.museum/disaster_preparedness_book/index.html

31. ERS: Emergency Response and Salvage Wheel: http://www.heritagepreservation.org/PROGRAMS/TFNewsReleases/nr120410.html

32. Flooding and Historical Buildings, English Heritage: http://www.english-heritage.org.uk/publications/flooding-and-historic-buildings/flooding-and-historic-buildings-2nd-ed.pdf

33. Guidelines for Identifying and Preventing Fire Risks to Heritage Buildings and Collections, New Zeeland Fire Service: http://www.fire.org.nz/Research/PublishedReports/Documents/aee9fac73cb67577b-0c3e4b63011e8d5.pdf

34. Jonathan R.L., 2000. Conservation and Preservation Activities in Archives and Libraries in Developing Countries. Association of Commonwealth Archivists and Records Managers & London Metropolitan Archives: http://www.acarm.org/documents/Guidelines%20on%20Preservation.pdf

35. Library Security and Safety Handbook: Prevention, Policies, and Procedures, American Library Association: https://books.google.it/books/about/Library_Security_and_Safety_Handbook.html?id=1N0iX-Px5uqQC&redir_esc=y&hl=en

36. Protection of Cultural Heritage from Post-earthquake Fire: http://www.iitk.ac.in/nicee/wcee/article/13_2781.pdf

37. Storing collections in high bushfire risk areas, The Australian Institute for the Conservation of Cultural Material: http://www.aiccm.org.au/sites/default/files/docs/AICCM_MediaReleases/Storing%20Collections%20in%20High%20Bushfire%20Risk%20Areas.pdf

ევაკუაცია, გადარჩენა და დროებით საცავებში მოთავსება

38. Building an Emergency Plan: A Guide for Museums and Other Cultural Institutions: http://www.getty.edu/conservation/publications_resources/pdf_publications/pdf/emergency_plan.pdfhttp://bit.ly/24fPKE5

39. Emergency Planning Committee, University of Colorado, 2011, Collections Emergency Plan for the University Libraries, http://bit.ly/1Tt8oTI

40. Heritage preservation, “Emergency Response and Salvage Wheel” and “ERS: EmergencyResponse and Salvage” http://www.heritagepreservation.org/wheel/

41. Heritage Preservation, 2006, Field Guide to Emergency Response, Washington, DC: Heritage-Preservation.

42. Hutchins, J. K., 2006, First Aid for Art: Essential Salvage TechniquesAfter a Flood: how can you salvage precious belongings?:
http://www.aiccm.org.au/sites/default/files/docs/AICCM_Brochures/AfterAFlood_Ver5.PDF

43. After a Fire: what you can do to salvage fire-damaged possessions:
http://www.aiccm.org.au/sites/default/files/docs/AICCM_Brochures/AICCM_AfterAFire_2009.PDF

44. Disaster Recovery – Salvaging Book:
http://www.ccaha.org/uploads/media_items/technical-bulletin-salvaging-books.original.pdf

45. First Aid For Wet-Site Objects, National Park Service:
http://www.nps.gov/museum/publications/conserveogram/06-01.pdf

46. RE-ORG: A methodology for reorganizing museum storage developed by ICCROM and UNESCO:
http://ceroart.revues.org/2112

47. Salvage of Water-Damaged Collections: Salvage at a Glance, National Park Service:
http://www.nps.gov/museum/publications/conserveogram/21-03.pdf

48. Salvage at a Glance Part III: Object Collections, National Park Service:
http://www.nps.gov/museum/publications/conserveogram/21-06.pdf

49. Storage Methods and Handling Practices, Northeast Document Conservation Center:
https://www.nedcc.org/free-resources/preservation-leaflets/4.-storage-and-handling/4.1-

50. Storage-methods-and-handling-practices Zhang, Meifang and Sun, Ying, Salvage and treatment for the archives in Beichuan earthquake:
http://www.degruyter.com/dg/viewarticle/j$002frest.2013.34.issue-2$002fres-2013-0005$002fres-2013-0005.xml;jsessionid=A1286D4F0737FA5E59711BD60A6FEFF5

51. Tandon, A. (2010), First Aid for Haiti's Cultural Heritage. Museum International, 62: 65–72. doi:10.1111/j.1468-0033.2011.01747.x

52. Letellier, R., Recording, Documentation, and Information Management for the Conservation of Heritage Places: guiding principles. Los Angeles: Getty Conservation Institute
http://www.getty.edu/conservation/publications_resources/pdf_publications/guiding_principles.pdf

53. Labelling and marking museum objects: SPECTRUM 4.0
http://www.collectionstrust.org.uk/programmes/spectrum/682-labelling-and-marking-museum-objects-spectrum-40

ნაწილი II

კულტურული მემკვიდრეობის დაცვა საგანგებო, საომარი, ბუნებრივი თუ ტექნოგენური კატასტროფების დროს: საკანონმდებლო ჩარჩოს ანალიზი.

შინაარსი:

1 კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობა 39

2 საქართველოში კატასტროფის რისკების მიმოხილვა 40
2.1 ბუნებრივი საფრთხეები და კატასტროფები 40
2.2 ტექნოგენური საფრთხეები 41
2.3 მოწყვლადობა 41

3 კონსტიტუცია და კულტურული მემკვიდრეობა 43

4 საერთაშორისო ვალდებულებები 44
4.1 1954 წლის ჰააგის კონვენცია შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში კულტურული ფასეულობების დაცვის შესახებ და მისი პირველი ოქმი 44
4.2 ჰააგის 1954 წლის კონვენცია - მეორე ოქმი (1999 წელი) 45
4.3 ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენცია საზოგადოებისათვის კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის შესახებ - 27/10/2005 48
4.4 გაეროს ჩარჩო კონვენცია კატასტროფების რისკის შემცირების შესახებ 2015-2030 50
4.5 ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება 52

5 სახელმწიფოს პოლიტიკა კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებით 54
5.1 კულტურის სტრატეგია 2025 54
5.2 საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია 55

6 კულტურული მემკვიდრეობის საკანონმდებლო ბაზა 57
6.1 კანონი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ 57
6.2 საქართველოს კანონი „კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ“ 57
6.3 საქართველოს კანონი „მუზეუმების შესახებ“ 58
6.4 სისხლის სამართლის კოდექსი 58
6.5 კანონი დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ 60

7 კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე პასუხისმგებელი ორგანოები 61
7.1 საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო 61
7.2 კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო 62
7.3 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო 62
7.4 ეროვნული საგანძურისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამმართველო 63
7.5 ადგილობრივი თვითმმართველობა 63

8 საომარი მდგომარეობა 64

9 საგანგებო მდგომარეობა 66

10 საგანგებო სიტუაცია 67
10.1 რეაგირება ტექნოგენურ და ბუნებრივ კატასტროფებზე 68
10.2 რომორ სრულდება საგანგებო დახმარების მე -17 ფუნქცია – კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების ევაკუაციის ღონისძიებების უზრუნველყოფა 69
10.3 მთავრობის დადგენილება N508 71

11 სამოქალაქო უსაფრთხოება 77
11.1 ხანძარი 77

12 პრობლემები და გადაჭრის გზები 79
12.1 რეკომენდაციები 80

1 კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობა

კულტურული მემკვიდრეობა ერის თვითმყოფადობის განუყოფელი ნაწილია, იგი ისეთივე სიმბოლოდ შეიძლება ჩაითვალოს, როგორც გერბი და დროშა სუვერენული სახელმწიფოსთვის. ამიტომ მისი მოვლა-პატრონობა საზოგადოებისა და სახელმწიფოს პირდაპირი მოვალეობაა.

მას არა მხოლოდ ისტორიული და კულტურული ღირებულება გააჩნია, არამედ პირდაპირ კავშირშია სახელმწიფოს ეკონომიკურ სიძლიერესთან. ამ მხრივ, საქართველო ნამდვილად გამორჩეული სახელმწიფოა, რადგან მის ყველა ადმინისტრაციულ–ტერიტორიულ ერთეულში ასობით ძეგლია, რომლებსაც მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი და კიდევ უამრავი ძეგლია, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი და დაცული. აღნიშნული მოცემულობის გათვალისწინებით, სახელმწიფო ვალდებულია იზრუნოს მათ კონსერვაციასა და სათანადო რესტავრაციაზე, ასევე – მათ გადარჩენაზე, ბუნებრივი თუ ტექნოგენური კატასტროფებისა და საომარი სიტუაციებისას.

2 საქართველოში კატასტროფის რისკების მიმოხილვა

2.1 ბუნებრივი საფრთხეები და კატასტროფები

საქართველო, გამომდინარე მისი გეოგრაფიული მდებარეობიდან, ბუნებრივი და ადამიანთა მიზეზით წარმოქმნილი არაერთი საფრთხის წინაშე აღმოჩენილა თავისი არსებობის მანძილზე და კვლავაც მაღალი რისკის ქვეშაა. "საქართველო არის ტრანსკონტინენტური ქვეყანა, რომელიც მდებარეობს აზიისა და ევროპის გასაყარზე, სამხრეთ კავკასიის რეგიონში, შავ ზღვასა (დასავლეთიდან) და კავკასიის მთებს (ჩრდილოეთიდან) შორის. მისი ტერიტორიის 80% მთიანია. აქ რეგულარულად ხდება წყალდიდობები, ქვათა ცვენა, მეწყერები და ზვავები, ძირითადად – ქვეყნის მთიან ნაწილსა და მდინარეების გაყოლებაზე. ამ სტიქიურ მოვლენებს ძლიერი ზიანის მიყენება შეუძლია ადგილობრივი მოსახლეობისათვის. გვალვებისა და ინტენსიური გამოყენების გამო ნიადაგი და ვეგეტაცია დეგრადაციის მიმართ მაღალი მგრძნობელობით ხასიათდება. საქართველო ალპურ-ჰიმალაიური კოლიზიური სარტყლის სეისმურად ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ რეგიონში მდებარეობს. რეგიონის ისტორიული და ინსტრუმენტული სეისმოლოგიის ანალიზი გვიჩვენებს, რომ რეგიონის სეისმური აქტივობა შეიძლება ჩაითვალოს საშუალო დონედ. რეგიონში ადგილი ჰქონდა 7-ბალიან ძლიერ მიწისძვრებსა და მაკროსეისმოლოგიურ 9-ბალიან ინტენსივობას (MSK სკალა). ამგვარი მოვლენების განმეორებითი პერიოდი 103-104 წლების თანმიმდევრობაა"[1]

რაც შეეხება წყალდიდობებს: "იგი საკმაოდ მაღალი ინტენსივობით ხდება, წყლის ყველაზე მაღალი დონე გაზაფხულსა და ზაფხულში ფიქსირდება, როდესაც თოვლი დნობას იწყებს. ეროვნული ტერიტორიის 50%-ზე მეტი ზვავსაშიშ კერას წარმოადგენს, სადაც 100-ზე მეტი დასახლებული პუნქტია. კავკასიის მთისწინეთის მდინარეების ნალექიანობის მაღალი დონის გათვალისწინებით, საკმაოდ მაღალია მდინარეების ზეგავლენა ჰიდროლოგიაზე. ქვათაცვენა და ზვავები დიდ რისკს წარმოადგენენ მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისთვის. მეწყერი, ღვარცოფი და ქვათაცვენა ანადგურებენ საირიგაციო სისტემებს, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებსა და გზების ინფრასტრუქტურას. 1968-2009 წლებში გეოლოგიურმა საფრთხეებმა ქვეყნის დაახლოებით 70%–სა და მოსახლეობის 65%-ზე მოახდინა უარყოფითი გავლენა"[2]

ბუნებრივი კატასტროფების რისკების გათვალისწინებით, დიდი საფრთხის წინაშე დგას კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები. მითუმეტეს, რომ მათი დაცულობა მოსალოდნელ საფრთხეებთან დაკავშირებით საკმაოდ დაბალია.

1 კატასტროფის რისკის შემცირების სისტემის ინსტიტუციური შესაძლებლობების შეფასების ანალიზი; გაეროს განვითარების პროგრამა, 2014, გვ.12. http://police.ge/files/pdf/sagangebos_statistika/kanonebi/DRR%20angarishi.pdf

2 კატასტროფის რისკის შემცირების სისტემის ინსტიტუციური შესაძლებლობების შეფასების ანალიზი; გაეროს განვითარების პროგრამა, 2014, გვ.12. http://police.ge/files/pdf/sagangebos_statistika/kanonebi/DRR%20angarishi.pdf

2.2 ტექნოგენური საფრთხეები

“ტექნოგენური საფრთხეები და საფრთხის შემცველი ღონისძიებების იდენტიფიცირება, ინდუსტრიული ნაგებობები, განსაკუთრებით ისეთი, რომლებიც აწარმოებენ და ამუშავებენ ნავთობპროდუქტებს, ქიმიურ, პლასტიკატის, მინერალურ და სამშენებლო მასალებს, მეტალურგიულ და სამთო-მოპოვებით პროდუქციას, საფრთხეს წარმოადგენენ უბედური შემთხვევებისა თუ გაჟონვების დროს. გარკვეული რაოდენობის საწარმოები, სადაც იწარმოებოდა ან გამოიყენებოდა ნავთობპროდუქტები და სხვადასხვა ქიმიური მასალა, მიტოვებულია, რადგან ადგილზე ან საერთოდ არ არსებობდა, ან შეზღუდული იყო უსაფრთხოების ზომები. საწარმოო ნარჩენები ხშირად ქარხნების ტერიტორიაზე ინახება შესაბამისი კონტროლისა და მეთვალყურეობის გარეშე. ამ ტერიტორიებიდან დაბინძურების საფრთხე არსებობს, რაც შესაძლოა გაიზარდოს სტიქიური მოვლენებისა და ანთროპოგენური საქმიანობების შედეგად”[3]. ტექნოგენური კატასტროფებიც ისეთივე საფრთხის შემცველია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისთვის, როგორც ბუნებრივი, ვინაიდან კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების დაცვის სისტემები ამ ტიპის საფრთხეებთან დაკავშირებითაც სუსტია.

აქვე უნდა აღინიშნოს შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად წარმოქმნილი კატასტროფის რისკი, რომელიც ასევე დიდ საფრთხეს წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობისთვის და მზადყოფნისა და რეაგირების განსაკუთრებულ და განსხვავებულ მიდგომებს საჭიროებს.

2.3 მოწყვლადობა

აღნიშნულ საფრთხეებს დამატებული მოწყვლადობა ქმნის რისკს. ბუნებრივმა საფრთხემ შესაძლოა მოიტანოს მინიმალური ზიანი, თუ მოწყვლადობის დონე დაბალია და, პირიქით. “საქართველო საშუალოზე დაბალი შემოსავლების ქვეყანაა, სადაც 2013 წელს მშპ ერთ სულ მოსახლეზე 3596,6 აშშ დოლარს შეადგენდა. ადამიანის განვითარების ინდექსით საქართველო 75-ე ადგილზეა (UNDP, 2012). ქვეყნის ეკონომიკის ძირითად სექტორებს ვაჭრობა, მრეწველობა, საჯარო ადმინისტრირება, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი და კომუნიკაცია შეადგენენ. ბოლო დროს ტურიზმიც იქცა პრიორიტეტულ სექტორად. 2003-2012 წლებში საქართველოს ეკონომიკა მკვეთრად გაიზარდა და მაჩვენებელმა საშუალოდ წლიური 6,1% შეადგინა. ეს ზრდა განაპირობა სტრუქტურულმა რეფორმამ, რომელმაც ხელი შეუწყო კაპიტალის შემოდინებასა და ინვესტიციების მოზიდვას.

2012 წლის ბოლო კვარტლიდან ეკონომიკამ განვითარება შეანელა და 2013 წლის პირველი სამი კვარტლის განმავლობაში მშპ-სთან მიმართებაში 1,7 %-იანი ზრდა დაფიქსირდა. საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ სიღარიბეში ცხოვრობს. შეფასებები მერყეობს უკიდურესი სიღარიბის 10%-სა და 45%ს შორის იმის მიხედვით, თუ როგორ განისაზღვრება სიღარიბის ზღვარი. სოფელში სიღარიბის მაჩვენებლები (24,3%), ურბანულ მაჩვენებლებთან (17,6%) შედარებით, მაღალია და სხვაობის შემცირების ტენდენცია ფიქსირდებოდა, რომელიც 2008 წლის კრიზისის დროს შეწყდა.

საქართველოში უმუშევრობა კვლავ რჩება სახელმწიფოს ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევად. საქართველოს ძლიერი ეკონომიკური ზრდა, რომელიც ინტენსიური კაპიტალით ხასიათდებოდა, უმუშევრობის შედარებით ნაკლებად მაღალ მაჩვენებელზე

3 კატასტროფის რისკის შემცირების სისტემის ინსტიტუციური შესაძლებლობების შეფასების ანალიზი; გაეროს განვითრების პროგრამა, 2014, გვ-70. http://police.ge/files/pdf/sagangebos_statistika/kanonebi/DRR%20angarishi.pdf

აისახა, რომელიც კრიზისის წინა პერიოდში 12-13 %-ზე რჩებოდა. უმუშევრობამ პიკს - 17 %-ს - კრიზისის პერიოდში, 2010 წელს, მიაღწია და შემდეგ, 2012 წელს, 15 %-ზე ჩამოვიდა. მუშახელის უმეტესობა - 55%-ზე მეტი – სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული (ძირითადად, თვითდასაქმებულები), მათი წვლილი 2013 წ. მშპ-ში მხოლოდ 9,3 %-ია. ისინი. შინამეურნეობებზე დაფუძნებულ ფერმერულ საქმიანობას ეწევიან და დაბალი პროდუქტიულობით ხასიათდებიან"[4].

ეს ეკონომიკური მოცემულობა ბუნებრივად ამცირებს ქვეყნის პოტენციალს კატასტროფებზე ეფექტური რეაგირების კუთხით და საფრთხეს ზრდის როგორც ადამიანთა, ისე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვის მხრივ.

"მიუხედავად იმისა, რომ კატასტროფის რისკის შემცირების აუცილებლობა თანდათანობით მოექცა საქართველოს მთავრობის პრიორიტეტების სიაში და სექტორულ დონეზე კატასტროფის რისკთან დაკავშირებული საკითხების მოგვარების თვალსაზრისით გარკვეული პროგრესიც შეინიშნება, ჯერ კიდევ გაბატონებულია საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ტრადიციული მიდგომა და კატასტროფის რისკის შემცირების კონცეფცია, როგორც პირველ რიგში განვითარების საკითხი, ფაქტობრივად, ახალი თემაა საქართველოს ეროვნული და ადგილობრივი ხელისუფლებისთვის. ქვეყანაში ნაკლებად აცნობიერებენ, თუ როგორ შეიძლება იმოქმედოს ქვეყნის ეკონომიკასა თუ ადამიანის განვითარებაზე რისკების შემცირების საქმეში ინვესტიციების სიმწირემ და არასათანადო დაგეგმვამ. არასაკმარისია კატასტროფის რისკის შემცირების საკითხების მარეგულირებელი საკანონმდებლო და პოლიტიკის ჩარჩოები. ინსტიტუციური მოწყობისა და სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა კოორდინაციის მექანიზმები სრულად არ ფუნქციონირებს და ნაკლებეფექტიანია. გარკვეული ტექნიკური, ადამიანური და ფინანსური შესაძლებლობების არსებობის მიუხედავად, არ ხდება მათი სათანადოდ კოორდინირება და სისტემატიზაცია შესაბამის სექტორებს, მმართველობის დონეებსა და ინსტიტუტებს შორის"[5].

4 კატასტროფის რისკის შემცირების სისტემის ინსტიტუციური შესაძლებლობების შეფასების ანალიზი; გაეროს განვითარების პროგრამა, 2014. გვ-14. http://police.ge/files/pdf/sagangebos_statistika/kanonebi/DRR%20angarishi.pdf

5 კატასტროფის რისკის შემცირების სისტემის ინსტიტუციური შესაძლებლობების შეფასების ანალიზი; გაეროს განვითარების პროგრამა, 2014. გვ-16. http://police.ge/files/pdf/sagangebos_statistika/kanonebi/DRR%20angarishi.pdf

3 კონსტიტუცია და კულტურული მემკვიდრეობა

რადგან კულტურული მემკვიდრეობა წარმოადგენს ერის თვითმყოფადობის საგანს, მისი დაცვასა და შენარჩუნებაზე ზრუნვა საქართველოს კონსტიტუციითაა გარანტირებული.

კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 34-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად „საქართველოს ყველა მოქალაქე ვალდებულია ზრუნავდეს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა - შენარჩუნებაზე. კულტურულ მემკვიდრეობას სახელმწიფო იცავს კანონით“. ეს კონსტიტუციური დებულება არის საფუძველი, კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად შექმნილი სამართლებრივი ინფრასტრუქტურისა.

აღნიშნული ჩანაწერი ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს აკისრებს ვალდებულებას, რომ იზრუნოს საკუთარ ქვეყანაში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვაზე. რაც, ძირითადად, გამოიხატება ორი ტიპის ვალდებულებაში: პირველი, საჭიროების შემთხვევაში მან თავად უნდა დაიცვას კულტურული მემკვიდრეობა, როგორც ზრუნვის ობიექტი და, მეორე, იგი ვალდებულია, ძეგლის დაცვის საჭიროების შესახებ აცნობოს სახელმწიფო ორგანოებს, რათა მათ დროული და ადეკვატური რეაგირება მოახდინონ მის დასაცავად.

რაც შეეხება სახელმწიფოს უშუალო ვალდებულებას, მან უნდა შექმნას საკანონმდებლო და ინსტიტუციური ბაზა, რათა მოხდეს კულტურული მემკვიდრეობის განგრძობად რეჟიმში დაცვა. ეს უნდა გამოიხატებოდეს ნორმატიული აქტების მომზადებაში და სამთავრობო უწყებების შექმნაში.

მოქალაქეთა მიმართ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ვალდებულებად შესაძლოა ასევე მივიჩნიოთ კონსტიტუციის 37-ე მუხლის მესამე ნაწილი, სადაც საუბარია კულტურული გარემოს დაცვის ვალდებულებაზე[6].

კონსტიტუციაში, კულტურული მემკვიდრეობის უფრო ეფექტურად დაცვის კუთხით, შესაძლოა მოხდეს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის უფლებად აღიარება. მაგალითად, კონსტიტუციის 37-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ყველას აქვს უფლება, ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, ამის მსგავსად 34-ე მუხლის პირველ ნაწილს უნდა ჩაემატოს, რომ კულტურული მემკვიდრეობა ყველასია. ეს საშუალებას მისცემდა მოქალაქეს, თუკი სახელმწიფო ორგანოების მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტები საზიანო იქნებოდა კულტურული მემკვიდრეობისათვის, გაესაჩივრებინა საკონსტიტუციო სასამართლოში და ედავა მის გასაუქმებლად. ეს მექანიზმი კარგი სამართლებრივი ბერკეტი იქნებოდა მის დასაცავად.

6 საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მესამე ნაწილი “ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი. ყველა ვალდებულია, გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს”

4 საერთაშორისო ვალდებულებები

კულტურული მემკვიდრეობა, თავისი მნიშვნელობით, არ არის მხოლოდ ეროვნული ღირებულების მქონე, ამიტომ ცივილიზებული საზოგადოება ზრუნავს, რომ მსოფლიო ისტორიული მემკვიდრეობა დაიცვას და შემოუნახოს მომავალ თაობებს. ამ მიზანს ემსახურება კულტურული მემკვიდრეობის სფეროში არსებული საერთაშორისო ხელშეკრულებები და ორგანიზაციები.

გამოსაყოფია "იუნესკო" (UNESCO), რომელიც 1945 წლის 16 ნოემბერს დაარსდა და მას, როგორც გაეროს სპეციალიზებულ სააგენტოს, ევალება, მსოფლიო მასშტაბით იზრუნოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვაზე. ამ მიზნით, „იუნესკო" ქმნის ნუსხას მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლებისას, რომელთაც კაცობრიობისთვის აქვთ განსაკუთრებული ღირებულება, როგორც ცივილიზაციის მონაპოვარს.

საქართველო „იუნესკოს" წევრია 1992 წლიდან და დღემდე მიერთებულია მის 12 კონვენციას, მათ შორის – პარიზის 1972 წლის მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციას, რომლის მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში საქართველოდან შესულია სამი ძეგლი: მცხეთის ისტორიული ძეგლები, ბაგრატის ტაძარი და გელათის მონასტერი და ზემო სვანეთი.[7]

4.1 1954 წლის ჰააგის კონვენცია შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში კულტურული ფასეულობების დაცვის შესახებ და მისი პირველი ოქმი

კულტურული მემკვიდრეობის მთავარ მტრად შეიძლება ჩაითვალოს საომარი მოქმედებები, რომლის დროსაც მასობრივად ნადგურდება როგორც მოძრავი, ისე უძრავი ძეგლები. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობისას, ამიტომ, გაეროს ეგიდით, უნდა გადადგმულიყო რაიმე ნაბიჯი მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის დაცვისათვის. ამის გამოძახილია სწორედ 1954 წლის 14 მაისს მიღებული კონვენცია: შეიარაღებული კონფლიქტების შემთხვევაში კულტურული ფასეულობების დაცვის შესახებ.

ამ დოკუმენტმა განსაზღვრა, თუ რა არის კულტურული ფასეულობა, რომელთაც პატივი უნდა სცენ ხელშემკვრელმა მხარეებმა, იმის მიუხედავად, თუ რა წარმომავლობის არიან ისინი.

მხარეებმა აიღეს ვალდებულება, რომ საომარ ვითარებაში დაიცავენ და მოუფრთხილდებიან კულტურულ ძეგლებს. ხოლო თუ რომელიმე სახელმწიფო მოახდენს სხვა ქვეყნის ტერიტორიის ოკუპაციას, მას ეკისრება პასუხისმგებლობა იმ ტერიტორიაზე არსებული ობიექტების დაცვაზე.

დადგინდა სპეციალური დაცვის ქვეშ მყოფ კულტურულ ფასეულობათა იმუნიტეტი, რაც ავალდებულებს მხარეებს, სამხედრო ოპერაციები ისე განახორციელონ, რომ მაქსიმალურად ნაკლები ზიანი მიადგეს აღნიშნულ ძეგლებს. ხოლო ამ ძეგლთა

7 2016 წლის დეკემბრის მდგომარეობით.

აღსანიშნავად შეიმუშავეს სპეციალური სიმბოლო - ლურჯი ფარი, რომლითაც უნდა მოხდეს კულტურულ ფასეულობათა ნიშანდება.

ეს აქტი შეიძლება შეფასდეს, როგორც შეიარაღებული კონფლიქტების შემთხვევაში კულტურული ფასეულობების დაცვის პრინციპების დამდგენი. ამ აქტის რატიფიცირება საქართველომ მოახდინა 1992 წლის 4 დეკემბერს.

4.2 ჰააგის 1954 წლის კონვენცია - მეორე ოქმი (1999 წელი)

1954 წელს მიღებული კონვენცია, რომელმაც შეიარაღებული კონფლიქტების შემთხვევაში კულტურული ფასეულობების დაცვის პრინციპები დაადგინა, არ აღმოჩნდა ქმედითი და ეფექტური საერთაშორისო დოკუმენტი. ამიტომ საჭირო გახდა მეორე ოქმის მიღება, სადაც დეტალურად იქნებოდა აღწერილი და დადგენილი, თუ რა მექანიზმებით უნდა მოხდეს შეიარაღებული კონფლიქტებისას კულტურული მემკვიდრეობის დაცვა.

ჰააგაში 1999 წლის 26 მაისს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომლითაც შეიარაღებული კონფლიქტის დროს კულტურულ ფასეულობათა დაცვის შესახებ ჰააგის 1954 წლის კონვენციის მეორე ოქმის დებულებების აქტიურად ამოქმედებას დაუჭირეს მხარი. საქართველომ ამ ხელშეკრულების რატიფიცირება მოახდინა 2009 წლის 31 ივლისს.

ხელშემკვრელი მხარეები აცნობიერებენ შეიარაღებული კონფლიქტის დროს კულტურულ ფასეულობათა დაცვის სპეციალური სისტემის შექმნის აუცილებლობას. იღებენ ვალდებულებას, რომ საომარი ვითარებისას პატივს სცემენ და დაიცავენ კულტურულ მემკვიდრეობას. ამასთან, შეიარაღებული კონფლიქტის დროს, კონვენციის ხელშემკვრელ მხარეებს მისცემენ უფრო აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობას კულტურულ ფასეულობათა დაცვის სფეროში შესაბამისი პროცედურების შემუშავების გზით. აღნიშნული ოქმი გამოიყენება როგორც საერთაშორისო, ისე არასაერთაშორისო ხასიათის კონფლიქტების დროს. მხარეთა შეთანხმების საგანს წარმოადგენს ისიც, რომ კულტურული მემკვიდრეობის მარეგულირებელი ნორმები სრულ შესაბამისობაში უნდა იყოს საერთაშორისო სამართლის ნორმებთან.

დაცვის საკითხი

შეიარაღებული კონფლიქტის დროს სამხედრო ოპერაციები ისე უნდა დაიგეგმოს, რომ კულტურულ ფასეულობებს მიადგეს მაქსიმალურად ნაკლები ზიანი. შესაძლებლობის ფარგლებში უნდა შემოწმდეს ყველა ის ობიექტი, რომელზეც იგეგმება შეტევის განხორციელება, რათა დადგინდეს, ხომ არ მიეკუთვნება იგი კონვენციით დაცულ კულტურულ ფასეულობას. ამასთან, თუ მხარისათვის სამხედრო ოპერაციის მიმდინარეობისას გახდება ცნობილი ობიექტის ფასეულობის შესახებ, მან უნდა შეაჩეროს მოქმედებები, თუ შესაძლო ზიანი აღემატება კონკრეტულ საომარ უპირატესობას.

გამონაკლისის წესით, დაცვას არ ექვემდებარება ისეთი კულტურული ძეგლები, რომელსაც მხარე იყენებს სამხედრო დანიშნულებით ან სამხედრო წარმატების მიღწევა შეუძლებელია ამ ობიექტის განადგურების გარეშე. ასეთ ვითარებაში სახეზე გვაქვს იმპერატიული სამხედრო აუცილებლობა, რომლის დადგენის უფლებაც, გარემოებების გათვალისწინებით, აქვს უმაღლესი რანგის სამხედრო პირს.

მხარეები ვალდებული არიან, შესაძლებლობის ფარგლებში, სამხედრო ობიექტები არ განათავსონ კულტურული ფასეულობების მიმდებარედ, ამასთან უზრუნველყონ მოძრავი

კულტურული ფასეულობების გარიდება ამ ობიექტებიდან.

ის მხარე, რომელიც იპყრობს მეორე მხარის ტერიტორიას სრულად ან ნაწილობრივ, ვალდებულია უზრუნველყოს ამ ტერიტორიაზე კულტურულ ფასეულობათა დაცვა. მან უნდა იზრუნოს მისი პირვანდელი სახის შენარჩუნებაზე და აკრძალოს უკანონო ექსპორტი. ამასთან უნდა აღკვეთოს არქეოლოგიური გათხრები, თუ ეს არ ემსახურება ძეგლის გადარჩენას ან კონსერვაციას.

გაძლიერებული დაცვა

მეორე ოქმის თანახმად, კულტურულ ფასეულობაზე შესაძლოა გავრცელდეს გაძლიერებული დაცვის რეჟიმი. ხელშემკვრელი მხარე კომიტეტს წარუდგენს კულტურულ ფასეულობათა იმ ნუსხას, რომელზედაც მოითხოვს გაძლიერებული დაცვის რეჟიმის ამოქმედებას. კომიტეტის მიერ გაძლიერებული დაცვის რეჟიმის მინიჭება ხდება, თუ ძეგლი: 1) წარმოადგენს კაცობრიობისათვის უდიდესი მნიშვნელობის მქონე კულტურული ფასეულობის მქონე მემკვიდრეობას; 2) აღიარებულია განსაკუთრებული კულტურული და ისტორიული ღირებულების მქონე ქონებად შიდა საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ნორმების შესაბამისად, რომლებიც უზრუნველყოფს ამ ქონების მაღალ დონეზე დაცვას; 3) არ გამოიყენება სამხედრო მიზნებისათვის ან სამხედრო ობიექტების დაფარვის მიზნით და არსებობს შესაბამისი მხარის განცხადება, რომელიც ახორციელებს კონტროლს კულტურულ ფასეულობებზე, რომ ეს ქონება არ იქნება გამოყენებული სამხედრო მიზნით. თუ ობიექტი მოექცა გაძლიერებული დაცვის რეჟიმის ქვეშ, მასზე გავრცელდება იმუნიტეტი და კონფლიქტის მონაწილე მხარეები უზრუნველყოფენ კულტურულ ფასეულობათა დაცვას გაძლიერებული დაცვის რეჟიმის მოქმედების პირობებში, კერძოდ, ისინი თავს შეიკავებენ ასეთი სახის ქონებაზე საომარი შეტევების განხორციელებისა და საომარ ოპერაციებში ასეთი ქონების ან მისი მიმდებარე ტერიტორიის გამოყენებისაგან. თუმცა, აღსანიშნავია, რომ გაძლიერებული დაცვის რეჟიმი არაა მუდმივი, რადგან თუ ობიექტი აღარ აკმაყოფილებს იმ კრიტერიუმებს, რომლის გამოც მას მიენიჭა ეს სტატუსი, კომიტეტი მოუხსნის მას ამ რეჟიმს.

სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა

კონვენციის ეფექტურობა დამოკიდებულია იმ მოქნილ მექანიზმებზე, რომელსაც ხელშემკვრელი მხარეები დაამკვიდრებენ ეროვნულ დონეზე კულტურულ ფასეულობათა დაცვისათვის. ამ მხრივ მნიშვნელოვანია, კულტურული ფასეულობების წინააღმდეგ ჩადენილ ქმედებებზე სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელება. პირი, რომელიც: 1) განახორციელებს საომარ შეტევას კონვენციით დაცულ ფასეულობაზე; 2) გაძლიერებული დაცვის ქვეშ არსებული კულტურული ფასეულობის ან მისი მიმდებარე ტერიტორიას გამოიყენებს საომარ ოპერაციებში; 3) მასობრივად მიითვისებს ან გაანადგურებს კონვენციით და ამ ოქმით გათვალისწინებულ კულტურულ ფასეულობებს; 4) შეტევას განახორციელებს კონვენციით და ამ ოქმით გათვალისწინებულ კულტურულ ფასეულობებზე; 5) კონვენციით დაცული ფასეულობის წინააღმდეგ განახორციელებს: ქურდობას, ძარცვას, მითვისებას ან ვანდალურ აქტს, უნდა მიეცეს სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში.

რაც შეეხება იურისდიქციას, იგი ვრცელდება იმ შემთხვევაში თუ: 1) ასეთი დანაშაული ჩადენილ იქნა წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე; 2) დანაშაულის ჩამდენი პირი წევრი

სახელმწიფოს მოქალაქეა; 3) დანაშაულის ჩამდენი პირი იმყოფება წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე;

კულტურული ფასეულობათა დაცვის კომიტეტი

კულტურული ფასეულობათა დაცვის მიზნით იქმნება კომიტეტი, რომლის შემადგენლობაშიც შედის თორმეტი ხელშემკვრელი მხარე. მას ირჩევენ ოთხი წლით მხარეთა სხდომაზე. მხარეები კომიტეტის შემადგენლობისათვის წარადგენენ კვალიფიციურ პირებს, რომელთაც გააჩნიათ კვალიფიციური ცოდნა კულტურული მემკვიდრეობის, ამ მემკვიდრეობის დაცვის ან საერთაშორისო სამართლის სფეროში და შეეცდებიან, ერთმანეთთან კონსულტაციის გზით უზრუნველყონ კომიტეტისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება ყველა ზემოაღნიშნულ სფეროში. კომიტეტის ფუნქციებში შედის: დირექტივების შემუშავება ოქმის განხორციელების მიზნით; კულტურული ფასეულობათა დაცვის რეჟიმის მინიჭება, დროებით შეჩერება ან გაუქმება; გაძლიერებული დაცვის ქვეშ არსებული კულტურულ ფასეულობათა ნუსხის შედგენა, შენარჩუნება და შევსება; ოქმის იმპლემენტაციაზე მონიტორინგი; მხარეთა მიერ წარმოდგენილი ანგარიშების მონიტორინგი და მათზე კომენტარების გაკეთება, საჭიროების შემთხვევაში ინფორმაციის დაზუსტება; ამ ოქმის იმპლემენტაციასთან დაკავშირებით საკუთარი ანგარიშის მომზადება და მხარეთა სხდომაზე წარდგენა. კომიტეტი სხდომებს მართავს ჩვეულებრივ წელიწადში ერთხელ, იგი გადაწყვეტილაებაუნარიანია, თუ მას ესწრება წევრთა უმრავლესობა, გადაწყვეტილების მიღებას სჭირდება კენჭისყრაში მონაწილეთა ორი მესამედის მხარდაჭერა.

შეიარაღებული კონფლიქტის დროს კულტურულ ფასეულობათა დაცვის ფონდი

მხარეთა ნებაყოფლობითი შენატანებისა და სხვადასხვა საერთაშორისო ან სამთავრობო ორგანიზაციის მიერ გაღებული თანხებისაგან იქმნება კულტურულ ფასეულობათა დაცვის ფონდი. ფონდი, UNESCO - ს ფინანსური განაწესის შესაბამისად, წარმოადგენს სატრასტო ფონდს, რომლის მიზანიცაა: 1) მხარეთათვის ფინანსური დახმარების გაწევა მშვიდობიანობის პერიოდში, რათა კულტურულ ფასეულობათა დაცვის ეფექტური სისტემები შეიქმნას; 2) ფინანსური ან სხვა სახის დახმარების გაწევა გადაუდებელი, დროებითი თუ სხვა სახის ზომების გატარების მიზნით, რომლებიც მიზნად ისახავს კულტურულ ფასეულობათა დაცვას შეიარაღებული კონფლიქტის პერიოდში ან მის დაუყოვნებლივ აღდგენას საომარი მოქმედებების დამთავრების შემდეგ.

საერთაშორისო თანამშრომლობა/საერთაშორისო დახმარება

ოქმის დებულებათა სერიოზული დარღვევის შემთხვევაში მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, იმოქმედონ ერთობლივად, კომიტეტის საშუალებით, ან ინდივიდუალურად, UNESCO–სა და გაეროსთან თანამშრომლობის გზით და გაეროს წესდების შესაბამისად. ამასთან მხარეს შეუძლია კომიტეტს მიმართოს საერთაშორისო დახმარების მოთხოვნით იმ მიზნით, რომ გაძლიერებული დაცვის ქვეშ მყოფი კულტურული ფასეულობებისათვის საფრთხეები თავიდან იქნას აცილებული.

4.3 ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენცია საზოგადოებისათვის კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის შესახებ - 27/10/2005

კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობა და დაცვა – ეს არის საკითხები, რომლებზეც ხაზს უსვამენ საერთაშორისო ხელშეკრულებებში. ერთ-ერთი ასეთი დოკუმენტია ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენცია საზოგადოებისათვის კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის შესახებ, რომელიც პორტუგალიის ქალაქ ფაროში იქნა მიღებული 2005 წლის 27 ოქტომბერს. ამ კონვენციას საქართველო პრეზიდენტის N813 ბრძანებულებით შეუერთდა 2010 წელს.

ხელშემკვრელი მხარეები თანხმდებიან, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და მასზე ზრუნვა წარმოადგენს მოქალაქის და სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს ვალდებულებას. რადგან იგი ადამიანური ფასეულობის განუყოფელი ნაწილია და განამტკიცებს მის კულტურულ ცხოვრებაში ჩართვის უფლებას, აღნიშნული კი აღიარებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით (1948) და გარანტირებულია ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო აქტით (1966). ამიტომ აუცილებელია, საზოგადოებამ კარგად გაითავისოს ის სიკეთეები, რომლის მომტანიცაა კულტურული მემკვიდრეობა მშვიდობის, ტოლერანტობისა და განვითარების თვალსაზრისით.

მიზნები და პრინციპები

კულტურული მემკვიდრეობა, რომელიც არის წარსულის დანატოვარი რესურსების ერთობლიობა, განუხრელად უნდა იყოს დაცული საკანონმდებლო დონეზე. უნდა მოხდეს ინდივიდუალური და კოლექტიური პასუხისმგებლობის აღიარება კულტურული მემკვიდრეობის მიმართ; ამასთან სახელმწიფოს მიზანს უნდა წარმოადგენდეს ხაზგასმა იმაზე, რომ კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და მისი გამოყენება მიზნად ისახავს ადამიანის განვითარებას და ცხოვრების გაუმჯობესებას; კულტურული მემკვიდრეობა მნიშვნელოვან როლს უნდა თამაშობდეს საზოგადოების ჰარმონიულ თანაცხოვრებაში.

ხელშემკვრელმა მხარეებმა ხელი უნდა შეუწყონ ევროპის საერთო მემკვიდრეობის ცნების პოპულარიზაციას. რათა მისი დაცვის ეფექტურობა გაიზარდოს როგორც სახელმწიფოს, ისე მოქალაქეების მხრიდან. კულტურული მემკვიდრეობით სარგებლობა ყველა ადამიანის განუყოფელი უფლებაა და მის გამდიდრებაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს. აღნიშნული უფლება არაა აბსოლუტური ღირებულება და მისი შეზღუდვა შესაძლებელი უნდა იყოს მხოლოდ დემოკრატიული საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე.

მნიშვნელოვანია, რომ საგანმანათლებლო სივრცის საგნად იქცეს კულტურული მემკვიდრეობის შესწავლა, რათა გაადვილდეს მასზე ზრუნვა და კონსერვაცია.

კულტურული მემკვიდრეობის გამოყენება განვითარებისთვის

კულტურული მემკვიდრეობა არა მხოლოდ ადამიანის კულტურული ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, არამედ მისი საარსებო გარემოს გაჯანსაღების პოტენციური ელემენტია. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ხელშემკვრელმა მხარეებმა სწორი ინფორმაცია მიაწოდონ მოსახლეობას, თუ რა პოტენციალი დევს მასში ეკონომიკური და სოციალური განვითარების კუთხით.

აუცილებელია წახალისებულ იქნას ყველა ის ინიციატივა, რომელიც მიზნად ისახავს კულტურული ძეგლების მოვლა პატრონობასა და კონსერვაციას, განსაკუთრებით კი პირვანდელი სახის შენარჩუნებას ტრადიციული მეთოდიკის გამოყენებით. ამასთან, მოსახლეობას თავად უნდა გაუჩნდეს ძეგლების მოვლის ინტერესი, როგორც სულიერი და მატერიალური კეთილდღეობის ობიექტისა.

კულტურული მემკვიდრეობის მიმართ საერთო პასუხისმგებლობა და საზოგადოების მონაწილეობა

კულტურული მემკვიდრეობის მართვისას მხარეები იღებენ ვალდებულებას, რომ წაახალისებენ სახელმწიფო ორგანოების იმგვარ მიდგომებს, რომლითაც საკითხთა გადაწყვეტა ხდება ყველა დონის ჩართვით კორდინირებულად. ამასთან მნიშვნელოვანია ცალკე მდგომი სტრუქტურის არსებობა, რომელსაც ექნება პროფესიული, იურიდიული და ფინანსური მექანიზმები, რათა ხელი შეუწყოს საჯარო ორგანოების, ექსპერტების, კერძო საკუთრების მფლობელების, ინვესტორების, მეწარმეების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგადოების ერთობლივი საქმიანობის განხორციელებას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი ინიციატივების წახალისება, რომელიც აამაღლებს ხელისუფლების საჯარო ორგანოების როლს. ასევე მნიშვნელოვანია მემკვიდრეობის კონსერვაციის სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების ხელშეწყობა.

მხარეები იღებენ ვალდებულებას, რომ ხელს შეუწყობენ კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენას, შესწავლას და დაცვას, რისთვისაც აუცილებელია ამ მიმართულებებით პროფესიული წახალისება.

ამასთან უნდა გაითვალისწინონ, საკუთარ ტერიტორიაზე თითოეული თემის დამოკიდებულება ამ ძეგლების მიმართ, რათა სრულყოფილად განისაზღვროს მათი ფასეულობა.

საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების კუთხით უნდა მოხდეს კულტურულ მემკვიდრეობაზე საინფორმაციო შეხვედრების უზრუნველყოფა.

ხელი უნდა შეეწყოს მაღალი ტექნოლოგიების დანერგვას, კულტურული მემკვიდრეობის ხელმისაწვდომობის კუთხით. თუმცა, მისმა გამოყენებამ ზიანი არ უნდა მიაყენოს მემკვიდრეობას. ასევე მნიშვნელოვანია საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა ძეგლების უსაფრთხოებისა და კონსერვაციის კუთხით.

მონიტორინგი და თანამშრომლობა

ევროპის საბჭოს მეშვეობით უნდა განვითარდეს მონიტორინგის სისტემა, რომლითაც, კონვენციის პრინციპებთან შესაბამისობაში, შემოწმდება კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული კანონმდებლობა და პრაქტიკული პოლიტიკა. მონიტორინგზე პასუხისმგებელი ორგანოა მინისტრთა კომიტეტი. მხარეები ვალდებულნი არიან ითანამშრომლონ ერთმანეთთან როგორც ამ კონვენციის მიზნებისა და პრინციპების, ისე ევროპის საერთო მემკვიდრეობის აღიარების საქმეში.

4.4 გაეროს ჩარჩო კონვენცია კატასტროფების რისკის შემცირების შესახებ 2015-2030

ბუნებრივი კატასტროფები არის გამოწვევა, რომელიც თანამედროვე მსოფლიოსთვის სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება. იმ ფონზე, როდესაც ხელოვნური ჩარევით ბუნებრივი გარემო უარესდება და იცვლება კლიმატი, ბუნებრივად მატულობს კატასტროფების რისკები (მიწისძვრა, ცუნამი, წყალდიდობა, მეწყერი, ხანძარი). თუმცა, ბუნებრივთან ერთად უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს ტექნოგენური კატასტროფები. ამიტომ, მსოფლიო საზოგადოება აქტიურად ფიქრობს იმ დამანგრეველი შედეგების შემცირებაზე, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს აღნიშნულმა მოვლენებმა, ეს ეხება როგორც ადამიანური, ისე მატერიალური რესურსების დანაკარგების შემცირებას.

სწორედ ამ ფაქტორებითაა ნაკარნახევი გაეროს ეგიდით მიღებული ჩარჩო კონვენცია (სენდაიში/იაპონია 2015 წლის 18 მარტი). ეს კონვენცია არის თხუთმეტწლიანი სამოქმედო გეგმა ხელშემკვრელი მხარეებისათვის, თუ რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას კატასტროფების რისკების შესამცირებლად. სენდაიში გამართულ გაეროს ამ სამიტზე საქართველოს წარმომადგენლობაც იმყოფებოდა და მონაწილეობას იღებდა ამ დოკუმენტის შემუშავებაში.

მიზნები და მოსალოდნელი შედეგები

თანამედროვე საზოგადოება სულ უფრო მეტ ყურადღებას უნდა უთმობდეს, ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფებით გამოწვეული შედეგების აღმოფხვრას და პრევენციული ღონისძიებების გატარებას. ამ მიზნით სახელმწიფოები მართვის ყველა დონეზე უნდა ფლობდნენ სათანადო ცოდნას როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო გამოცდილების თვალსაზრისით, რათა ეფექტურად იქნეს დაცული ადამიანის ჯანმრთელობა და სიცოცხლე, ასევე მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

2030 წლისათვის ჩარჩო კონვენციის ეფექტურმა და განუხრელმა დაცვამ კონკრეტული შედეგები უნდა მოიტანოს უარყოფითი შედეგების აღმოფხვრის და მასთან ბრძოლის კუთხით, როგორიცაა: 1) სიკვდილიანობის შემცირება; 2) დაზარალებულთა რიცხოვნობის შემცირება; 3) ეკონომიკური ზარალის შემცირება; 4) ინფრასტრუქტურის ნგრევის შემცირება; 5) ადგილობრივ და გლობალურ დონეზე კატასტროფების რისკების მინიმუმამდე დაყვანა; 6) საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება და ეფექტური ურთიერთმხარდაჭერის უზრუნველყოფა; 7) მოსალოდნელი რისკების მაქსიმალური სიზუსტით განსაზღვრა როგორც ლოკალური, ისე გლობალური მასშტაბით.

სახელმძღვანელო პრინციპები

სახელმწიფოებმა სწორად უნდა განსაზღვრონ ის რისკები, რომელიც შესაძლოა მიადგეთ ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფების შედეგად. ამიტომ დიდი ყურადღება უნდა დაუთმონ ეროვნული უსაფრთხოების საკითხებს კატასტროფებთან ბრძოლის კუთხით. აქ მოიაზრება როგორც სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზის შექმნა, ისე ეფექტური სამოქმედო გეგმის შემუშავება. მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო ორგანოებმა თანაბრად გაინაწილონ პასუხისმგებლობა კატასტროფების რისკებთან დაკავშირებით.

კატასტროფების აღმოფხვრაზე ზრუნვა და პრევენცია უშუალოდ სახელმწიფოს მოვალეობაა. თუმცა, მნიშვნელოვანია შედეგებთან ბრძოლაში საზოგადოების

მხარდაჭერაც. ყველაზე ეფექტური ხერხი დამანგრეველ შედეგებთან ბრძოლაში არის ინკლუზიურობა და საზოგადოების მხრიდან პასუხისმგებლობის აქტიურად გაზიარება.

სახელისუფლებო ორგანოებს როგორ ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე ევალებათ, რომ პროცესს გაუწიონ კოორდინაცია აქტიურად. მნიშვნელოვანია დეცენტრალიზაციის ფაქტორიც, ვინაიდან ადგილობრივ დონეზე კატასტროფის შედეგების აღმოფხვრისას პირველად სწორედაც რომ ადგილობრივი ორგანოები უნდა რეაგირებდნენ. ამ მხრივ კი მათ უნდა გაეწიოთ სათანადო დახმარება ცენტრალური ხელისუფლებიდან.

ინკლუზიურობა მნიშვნელოვანია იმ კუთხითაც, რადგან კატასტროფასთან ბრძოლას სჭირდება კომპლექსური ცოდნა, ამიტომ საზოგადოების ყველა ფენაში არსებული კომპეტენტური ცოდნა ეფექტურად უნდა იქნეს გამოყენებული.

მართვის პროცესის შემადგენელ ნაწილად უნდა იქცეს კატასტროფებთან ბრძოლის პრევენცია, ამასთან გამოწვევების შესაბამისად სათანადო სამართლებრივი და მატერიალური ბაზის ოპტიმიზაცია უნდა ხდებოდეს.

ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფების რისკების შეფასება უნდა მოხდეს არა მხოლოდ გლობალური და ეროვნული მასშტაბით, არამედ კონკრეტული ეთნოსის საცხოვრებელი სივრცის გათვალისწინებითაც.

მომხდარი კატასტროფის შედეგების სწრაფი და ხარისხობრივი აღმოფხვრა ხელს უწყობს საზოგადოებაზე მისი უარყოფითი გავლენის შემცირებას. ამასთან სათანადოდ უნდა იქნეს შესწავლილი წარსული, რათა აწმყოსა და მომავლისათვის არსებობდეს ცოდნის ეფექტური წყარო.

სახელმწიფოებმა პირნათლად უნდა შეასრულონ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებები კატასტროფის დროს სხვა სახელმწიფოების დროული და ეფექტური დახმარების კუთხით, რათა არსებობდეს დაცულობის განცდა და მსოფლიო საზოგადოება თავს აღიქვამდეს ერთ მთლიანობად. ასეთი ტიპის მხარდაჭერა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განვითარებადი და ღარიბი ქვეყნებისათვის, რომელთაც არა აქვთ პრობლემებთან ბრძოლის სათანადო რესურსი.

კონვენციით განსაზღვრული პრიორიტეტები და კულტურული მემკვიდრეობა

კონვენციამ განსაზღვრა გარკვეული პრიორიტეტები, რომლის გარშემოც განსაკუთრებული ყურადღება და ვალდებულება აკისრიათ მხარეებს. სულ გამოიყო ოთხი მიმართულება, 1) კატასტროფის რისკების გაგება; 2) კატასტროფის რისკების მართვა; 3) კატასტროფების რისკების შემცირების მატერიალური უზრუნველყოფა; 4) კატასტროფებთან გამკლავების მზადყოფნა და შედეგების ეფექტური აღმოფხვრა.

კულტურული მემკვიდრეობა, როგორც ცივილიზებული მსოფლიოს ზრუნვის ობიექტი, აღნიშნულ კონვენციაში ერთ-ერთ მთავარ საკითხად იქნა შეტანილი, რადგან მისი დანიშნულება როგორც ეროვნულ, ისე გლობალურ დონეზე განუზომლად დიდია. ამასთან ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფები კულტურულ ფასეულობათა უმოწყალო მტრად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

კატასტროფების რისკების შეფასებისას/გაგებისას პრობლემურია კულტურულ მემკვიდრეობაზე მიყენებული ზიანის განსაზღვრა, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში მათი სიძველე და სპეციფიკა, ხელს უშლის ჭეშმარიტების დადგენას, ამასთან მოითხოვს დიდ

დროსა და ენერგიას. თუმცა, სახელმწიფო ვალდებულია, რომ იზრუნოს იმ რისკებისა და დანაკარგების დადგენაზე, რომელიც შესაძლოა მიადგეს კონკრეტულ ძეგლებს. რათა სათანადო ინფრასტრუქტურა მომზადდეს უარყოფითი შედეგების შესამცირებლად.

კატასტროფების რისკების შემცირების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალებაა კერძო და საჯარო ინვესტიციების განხორციელება სათანადო და ხარისხიანი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოსამზადებლად და ეფექტური პრევენციისათვის. თუმცა, შეზღუდული რესურსის პირობებში ფინანსების დახარჯვა ისეთ სფეროში, რომელმაც შესაძლოა, სწრაფი სარგებელი ვერ მოიტანოს, საკმაოდ არაპოპულარულია.

მაგრამ შესაძლოა, გრძელვადიან პერსპექტივაში კატასტროფის დამანგრეველი შედეგების აღმოფხვრას ბევრად მეტი რესურსი დასჭირდეს. სწორედ ამ პრობლემებს ვხვდებით კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში, ვინაიდან ის ორგანიზაციები, რომლებიც ზრუნავენ ფასეულობათა გადარჩენაზე, არამდგრადი მხარდაჭერით სარგებლობენ როგორც სახელმწიფო, ისე საერთაშორისო დონეზე. ამიტომ სულ უფრო იზრდება რისკები კატასტროფების დროს მეტი და მეტი კულტურული ძეგლის დაკარგვისა უსაფრთხოების ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო.

ურთიერთთანამშრომლობა

ჩარჩო კონვენციით განსაზღვრული გამოწვევებისა და პრიორიტეტების ფონზე მნიშვნელოვანია, რომ მხარეებმა აქტიურად ითანამშრომლონ ერთმანეთთან და გაცვალონ ის ცოდნა, რომელსაც ფლობენ ბუნებრივ და ტექნოგენურ კატასტროფებთან ბრძოლის კუთხით. ამასთან, გადამწყვეტია, რომ ეკონომიკურად ძლიერმა სახელმწიფოებმა მხარი დაუჭირონ განვითარებად ქვეყნებს გამოცდილებითა და მატერიალური რესურსით. სწორედ ეს სულისკვეთებაა წინაპირობა კონვენციით დასახული მიზნების მიღწევისა.

4.5 ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება

ასოცირების შეთანხმებაში განსაზღვრულია თანამშრომლობის განვითარება ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფის პრევენციის, მისთვის მზადებისა და მასზე რეაგირების მიმართულებით. თანამშრომლობის მიზნებია: კატასტროფის რისკის შემცირების ფორმატში თანამშრომლობა ისეთი საშუალებების გამოყენებით, როგორებიცაა: ინსტიტუციური კავშირები და ადვოკატირება; ინფორმაცია, განათლება და კომუნიკაციები; საუკეთესო პრაქტიკა, რომელიც მიმართულია ბუნებრივი კატასტროფის პრევენციის ან კატასტროფის ზემოქმედების შემცირებისაკენ; თანამშრომლობა კატასტროფის მართვის მიზნით საფრთხეებისა და რისკების შეფასების შესახებ საინფორმაციო ბაზის დასახვეწად; თანამშრომლობა გარემოსა და საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე კატასტროფის ზემოქმედების შეფასების მიმართულებით.

აღნიშნული შეთანხმება მნიშვნელოვან ადგილს უთმობს კულტურის სფეროსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა/შენარჩუნებას. 94-ე მუხლი ეხება ლიცენზირებისა და კვალიფიკაციის პირობებს, ხოლო მე-6 ნაწილი – უშოალოდ კულტურულ მემკვიდრეობას. „ამ მუხლის დებულებების შესაბამისად, შერჩევის პროცედურის წესების დადგენისას თითოეულ მხარეს შეუძლია, მხედველობაში მიიღოს საჯარო პოლიტიკის მიზნები, მათ შორის: ჯანმრთელობა, უსაფრთხოება, გარემოს დაცვა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება".

329-ე მუხლი ეხება ორმხრივი და ევროპის დონეზე თანამშრომლობის პრინციპების დაფუძნებას მათ შორის – კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობას და ტურიზმსა და გარემოს დაცვას შორის პოზიტიურ ურთიერთქმედებას.

შეთანხმების მე-17 თავი ეთმობა კულტურის სფეროში თანამშრომლობას. 362-ე მუხლში ნათქვამია: "მხარეები განავითარებენ თანამშრომლობას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის („იუნესკო") 2005 წლის „კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვისა და ხელშეწყობის შესახებ" კონვენციით განმტკიცებული პრინციპების სათანადოდ გათვალისწინების გზით. საერთო ინტერესების სფეროებში, მხარეები წარმართავენ მუდმივ დიალოგს დარგობრივ პოლიტიკაში, მათ შორის, ევროკავშირსა და საქართველოში შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების კუთხით. მხარეთა შორის თანამშრომლობა ხელს შეუწყობს კულტურათაშორის დიალოგს, ევროკავშირისა და საქართველოს კულტურის სფეროსა და სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის გზით".

363-ე მუხლში კი ნათქვამია: საჭიროა "კულტურის სფეროში თანამშრომლობა და კულტურული გაცვლები; საერთაშორისო ფორუმების ფარგლებში, როგორებიცაა: „იუნესკო" და ევროპის საბჭო, რათა, inter alia, ხელი შეეწყოს კულტურულ მრავალფეროვნებას, შენარჩუნდეს და სათანადოდ განვითარდეს კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის ღირებულებანი"

5 სახელმწიფოს პოლიტიკა კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებით

გადამწყვეტი ფაქტორი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კუთხით არის სწორად წარმართული სახელმწიფო პოლიტიკა, ამასთან, კონკრეტული სახელმწიფო თუ რა მნიშვნელობას ანიჭებს საკუთარ კულტურულ მემკვიდრეობას.

საქართველო, რომლის მსოფლიო სავიზიტო ბარათიცაა მისი კულტურული მემკვიდრეობა, მნიშვნელოვან ადგილს უნდა უთმობდეს მასზე ზრუნვასა და შენარჩუნებას საშინაო და საგარეო პოლიტიკის ჭრილში. სწორედ ამ მიზანს ემსახურება კულტურის „სტრატეგია 2025“ რომელიც მთავრობამ 2016 წელს N303 დადგენილებით მიიღო.

5.1 კულტურის სტრატეგია 2025

„საქართველოს მთავრობის მისიაა შექმნას ხელსაყრელი გარემო და ნოყიერი ნიადაგი ეროვნული მემკვიდრეობის, კულტურული მრავალფეროვნების დაცვისა და მისი ახლებური გააზრების, შემოქმედებითი საქმიანობის განვითარებისა და კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნებისთვის“[8].

საქართველომ სწორად უნდა გააანალიზოს ის პოტენციალი, რომელიც მას აქვს უნიკალური კულტურული მემკვიდრეობის კუთხით, რაც უნდა გამოიხატოს როგორც შიდა, ისე საერთაშორისო დონეზე სრულყოფილი ცოდნის გავრცელებაში კულტურის ძეგლებთან დაკავშირებით, რათა მსოფლიო საზოგადოებამ სწორად შეაფასოს ჩვენი ქვეყნის წვლილი მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებაში.

კულტურული ძეგლების სიმრავლე და უნიკალურობა უნდა გახდეს მთავარი ფუნდამენტი ჩვენი ქვეყნის ტურისტული და ინდუსტრიული პოტენციალისა.

მთავრობის მიზნები

მისიის შესაბამისად, მთავრობა მიზნად ისახავს: 1) ცოდნაზე, შემოქმედებითობასა და ინოვაციებზე დაფუძნებული საზოგადოების შექმნას; 2) კულტურულ ცხოვრებაში საზოგადოების ჩართვას; 3) კულტურის პოზიციონირებას მდგრადი განვითარების სხვადასხვა სექტორსა და საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროებში; 4) კულტურის თანამედროვე ინფრასტრუქტურისა და ახალი ტექნოლოგიების განვითარებას; 5) კულტურის სფეროს დაფინანსების მდგრადობის უზრუნველყოფასა და ამ სფეროს საქმიანობის მიმზიდველობას; 6) კულტურის ეკონომიკის განვითარებასა და ინდუსტრიალიზაციას; 7) კულტურის საერთაშორისო პოპულარიზაციასა და ინტერნაციონალიზაციას; 8) კულტურის მართვის დემოკრატიზაციას.

8 კულტურის სტრატეგია, 2025, გვ. 3.

სპეციფიკური ამოცანები

ეს ამოცანებია:

კულტურის სფეროში საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა; კულტურული მემკვიდრეობის კოდექსის შექმნა; საფრთხის ქვეშ მყოფი ქართული ძეგლების „იუნესკოს“ მსოფლიო მემკვიდრეობის ძირითად ნუსხაში დაბრუნების მიზნით შესაბამისი ქმედებების განხორციელება; ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და მონიტორინგის ინსტრუმენტების შემუშავება (მაგ., საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება, ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებების გაფორმება, კონფლიქტის ზონაში მცხოვრები მოქალაქეებისთვის ცნობიერების ამაღლებისა და გადამზადების პროგრამების შემუშავება და სხვ.) და გაძლიერება.

კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციისადმი ინტეგრირებული მიდგომა; ქალაქთმშენებლობის, სივრცითი დაგეგმარების დოკუმენტაციასა და რეგიონის განვითარების სტრატეგიებში კულტურული ღირებულების მქონე შენობების, კომპლექსების, კულტურული მემკვიდრეობის ზოგადი დამცავი ზონების, ლანდშაფტებისა და სივრცეების დაცვის საკითხების გათვალისწინება.

კულტურული ფასეულობებით ვაჭრობის ლეგალური ბაზრის, საზღვარგარეთ გატანისა და საქართველოში შემოტანის ეფექტური კონტროლისა და მონიტორინგის მექანიზმების (მაგ., რეესტრი, აუქციონები და სხვ.) განვითარება, არალეგალური ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლა, დაკარგული ან ქვეყნიდან უკანონოდ გატანილი კულტურული ფასეულობების საქართველოში დაბრუნების ერთიანი სისტემის შექმნა, საერთაშორისო თანამშრომლობის (ინტერპოლთან, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სახელმწიფოებთან) გაღრმავება კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და მესაკუთრისათვის დაბრუნების მიზნით.

5.2 საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია

სახელმწიფოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტია ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფოს წინაშე მდგარ გამოწვევებს უსაფრთხოების კუთხით.

საქართველომ არსებული დოკუმენტი, რომელშიც დეტალურად გაწერა როგორც შიდა, ისე საერთაშორისო დონეზე მდგარი საფრთხეები და სამოქმედო გეგმა, შეიმუშავა 2011 წელს და განაახლა 2014 წელს.

ამ დოკუმენტში საქართველოს წინაშე არსებულ საფრთხეებში, რისკებსა და გამოწვევებში მოხვდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაზიანება/განადგურების საკითხი. ასევე, საქართველოს უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებშიც იქნა განსაზღვრული კულტურული მემკვიდრეობის დაცვა.

ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში აქცენტი რამდენიმე მიმართულებითაა გაკეთებული, კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებით „საქართველოსთვის მნიშვნელოვანია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა. მის შეშფოთებას იწვევს ამ ძეგლების მიზანმიმართული დაზიანება ოკუპირებულ ტერიტორიებზე. ასევე მნიშვნელოვანია ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა ქვეყნის საზღვრების გარეთ“[9].

9 საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, 2011. გვ. 28.

ამ დოკუმენტში კულტურული მემკვიდრეობა ნახსენებია თურქეთთან ურთიერთობის ნაწილშიც. „მნიშვნელოვანია კულტურის სფეროში ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავება. დაწყებულია საქართველოსა და თურქეთს შორის თანამშრომლობა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან დაკავშირებით, რომლის გაღრმავება ორივე ქვეყნის ინტერესია“.[10]

რაც შეეხება უშუალოდ მონახაზს, რომელიც დეტალურად წარმოაჩენს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის ხედვას კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებით, „საქართველო ესწრაფვის, „იუნესკოსთან“ და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობის გზით დაიცვას და განავითაროს ქვეყნის უნიკალური კულტურული მემკვიდრეობა, რომელიც მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ნაწილია. ამ მიმართულებით აუცილებელია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პოლიტიკის გატარება, რომლის მიზანია თანამედროვე და ტრადიციული ქართული ხელოვნების ხელშეწყობა და არქიტექტურულ ძეგლებზე ზრუნვა. ამასთანავე, საზღვარგარეთ არსებული ქართული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის უზრუნველსაყოფად საქართველო აქტიურად ითანამშრომლებს იმ სახელმწიფოებთან, რომელთა ტერიტორიაზეც განლაგებულია ქართული კულტურის ძეგლები ან რომელთა არქივებში, საცავებსა თუ მუზეუმებშიც ინახება ქართული კულტურული ფასეულობები. განსაკუთრებული საფრთხე ექმნება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე. საერთაშორისო თანამეგობრობა აქტიურად უნდა ჩაერთოს ამ ტერიტორიებზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პროცესში, რისთვისაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება „იუნესკოსთან“, კულტურული საკუთრების შენარჩუნებისა და აღდგენის საკითხთა კვლევის საერთაშორისო ცენტრთან (ICCROM), ძეგლებისა და ადგილების საერთაშორისო საბჭოსთან (ICOMOS) და ბუნების კონსერვაციის საერთაშორისო კავშირთან (IUCN) თანამშრომლობას“.[11]

10 საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, 2011. გვ. 54.
11 საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, 2011. გვ. 71.

6 კულტურული მემკვიდრეობის საკანონმდებლო ბაზა

სახელმწიფოს მიერ, კონსტიტუციით აღებული ვალდებულების შესაბამისად, კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად შექმნილია საკანონმდებლო ბაზა, რომლის ძირითადი მიზანია, განსაზღვროს კულტურული მემკვიდრეობის არსი და მისი დაცვის ეფექტური სტანდარტები დაადგინოს.

6.1 კანონი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“

კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ მიზნად ისახავს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვას და ამ სფეროში წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგებას. ამ კანონის მოქმედება ვრცელდება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. ამასთან, მისი ზრუნვის ობიექტი საზღვარგარეთ არსებული ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებიცაა.

ეს კანონი დეტალურად განსაზღვრავს იმ ორგანოებს, რომელთა მეშვეობითაც სახელმწიფო იღებს პასუხისმგებლობას კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვაზე. ესენია: „საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო (შემდგომ – სამინისტრო), საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, აგრეთვე სხვა სახელმწიფო ორგანოები, საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირები, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიაზე – აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამისი ორგანოები“.[12]

ნორმატიული აქტით დადგენილია, თუ როგორ უნდა მოხდეს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღწერა, გამოვლენა და დაცვა. ასევე, ეს აქტი არეგულირებს ძეგლებზე ჩასატარებელი სამუშაოების სტანდარტებს.

იგი ძეგლებს ყოფს კლასებად: ა) არქეოლოგიური; ბ) არქიტექტურის; გ) საინჟინრო; დ) ქალაქთმშენებლობის (ურბანული); ე) საბაღე-საპარკო ხელოვნებისა და ლანდშაფტური არქიტექტურის; ვ) პალეოგრაფიული; ზ) მონუმენტური სახვითი ხელოვნების; თ) მემორიალური; ი) ეთნოგრაფიული; კ) სახვითი ხელოვნების; ლ) დოკუმენტური; მ) მეცნიერების, ტექნიკის ან მრეწველობის განვითარებასთან დაკავშირებული.

6.2 საქართველოს კანონი „კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ“

კანონის მიზანია დაიცვას საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა, სახელმწიფოს ტერიტორიაზე არსებული კულტურული ფასეულობები საქართველოდან მათი უკანონო გატანისა და უნებართვო არქეოლოგიური გათხრებისაგან. კანონი ხელს უწყობს საქართველოსა და სხვა სახელმწიფოების ხალხთა კულტურული ურთიერთობების განმტკიცებასა და კულტურულ ფასეულობათა გაცნობას, უზრუნველყოფს საქართველოსა

12 საქართველოს კანონი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“, მუხლი 4.

და უცხო ქვეყნების ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიერ საქართველოში დროებით შემოტანილ და საქართველოდან დროებით გატანილ კულტურულ ფასეულობათა დაცვასა და სახელმწიფოში დაბრუნებას.

6.3 საქართველოს კანონი „მუზეუმების შესახებ“

„მუზეუმების შესახებ“ საქართველოს კანონი არეგულირებს მუზეუმების საქმიანობის წესს და მასში დაცული საგანძურის მოვლა-პატრონობის პრინციპებს.

მისი ძირითადი მიზანია: საქართველოს სამუზეუმო საქმიანობის სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგება და საქართველოს სამუზეუმო ფონდის დაცვა. მისი ამოცანებია: ა) სამუზეუმო საქმიანობისა და მუზეუმებით სარგებლობის ძირითადი პრინციპების განსაზღვრა; ბ) სამუზეუმო საქმიანობაში სახელმწიფო გარანტიების უზრუნველყოფა; გ) საქართველოს მუზეუმების სისტემის მართვისა და დაფინანსების პრინციპების განსაზღვრა; დ) მუზეუმების კატეგორიების განსაზღვრა; ე) სამუზეუმო საქმიანობაში არასახელმწიფო სექტორის ლეგიტიმაცია; ვ) სამუზეუმო საქმიანობაში მონაწილე ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ძირითადი უფლება-მოვალეობების განსაზღვრა.

ამ კანონის 29-ე მუხლის თანახმად, სამუზეუმო ნივთებისა და კოლექციების დაზღვევა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და არაფერია ნათქვამი სამუზეუმო ექსპონატთა დაზღვევის შესახებ.

გამოდის, რომ მათი დაზღვევა ნებაყოფლობითია. თუმცა უმჯობესი იქნებოდა, ნორმატიულ დონეზე განსაზღვრულიყო სამუზეუმო ექსპონატთა დაზღვევის ვალდებულება სახელმწიფოს მხრიდან, რათა კატასტროფებისას ან სხვაგვარად დაზიანების შემთხვევაში მეტი დაცვის გარანტიები შექმნილიყო აღდგენის თვალსაზრისით.

6.4 სისხლის სამართლის კოდექსი

სახელმწიფოს მიერ კონსტიტუციით ნაკისრი ვალდებულების ნათელი გამოხატულებაა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში არსებული ნორმები, რომლითაც ხდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა და მათ მიმართ განხორციელებული უკანონო ქმედებების ინკრიმინირება.

დასჯადია განსაკუთრებული ისტორიული, კულტურული, მეცნიერული ან ეროვნული ღირებულების ნივთის ან დოკუმენტის დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. ამ ქმედებისათვის მინიმალური სასჯელია ექვსი წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო მაქსიმალური – თხუთმეტი წლით.

კულტურულ ფასეულობათა მიმართ საბაჟო წესების დარღვევაც წარმოადგენს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს. კერძოდ, „საქართველოს საბაჟო საზღვარზე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აღრიცხული სხვა კულტურული მემკვიდრეობის, ძვირფასი ლითონისაგან დამზადებული საიუველირო ნაკეთობის ან ნაკეთობის ჯართის წესის დარღვევით გადატანა ან გადმოტანა, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე“.[13]

სისხლის სამართლის ოცდამეთორმეტე პრიმა თავი ცალკე აწესრიგებს კულტურული

13 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 214.

მემკვიდრეობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებებს. ამ თავის თანახმად, სისხლის სამართლებრივად ისჯება შემდეგი ქმედებები:

1. უკანონო არქეოლოგიური სამუშაოები, არქეოლოგიური ობიექტის დაზიანება – არქეოლოგიურ ობიექტზე ნებისმიერი სახის სამუშაოების წარმოება არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის გარეშე ან არქეოლოგიურ ობიექტზე განზრახ/გაუფრთხილებლობით ზემოქმედება, რამაც მისი დაზიანება ან განადგურება გამოიწვია ან რის შედეგადაც ვერ ხერხდება მისი დათარიღება, იდენტიფიცირება და მასთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი სამეცნიერო ინფორმაციის მოპოვება.

2. კულტურული მემკვიდრეობის დაზიანება ან განადგურება – კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ან საქართველოს კანონმდებლობით დაცული სხვა კულტურული მემკვიდრეობის განზრახ/გაუფრთხილებლობით დაზიანება ან განადგურება.

3. კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონის რეჟიმის დარღვევა – კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონის ფიზიკური დაცვის არეალში დამცავი ზონის რეჟიმის დარღვევა, რამაც მნიშვნელოვნად გააუარესა ძეგლის აღქმა ან გამოყენება, შეამცირა მისი ისტორიულ-კულტურული ღირებულება ანდა დაზიანების ან განადგურების საფრთხე შეუქმნა მას, ასევე არქეოლოგიური დაცვის ზონის რეჟიმის დარღვევა, რამაც დაზიანების ან განადგურების საფრთხე შეუქმნა არქეოლოგიურ ობიექტს.

4. ძეგლებისა და სხვა კულტურული ფასეულობების საქართველოდან უნებართვო გატანა – ძეგლების, არქეოლოგიური ობიექტების ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა კულტურული ფასეულობების საქართველოდან უნებართვო გატანა.

სისხლის სამართლის ოცდამეთორმეტე მეორე პრიმა თავი ეხება საერთაშორისო ხასიათის დანაშაულებს კულტურული მემკვიდრეობის სფეროში – შეიარაღებული კონფლიქტების დროს კულტურულ ფასეულობათა დაცვის საერთაშორისო წესების დარღვევას

„სახელმწიფოთაშორისი და შიდასახელმწიფოებრივი შეიარაღებული კონფლიქტების დროს გაძლიერებული დაცვის ქვეშ მყოფ კულტურულ ფასეულობათა დაცვის საერთაშორისო წესების განზრახ დარღვევა, კერძოდ:

ა) გაძლიერებული დაცვის ქვეშ მყოფი მოძრავი ძეგლის დაზიანება ან განადგურება, ქურდობა, ძარცვა ან მითვისება;

ბ) გაძლიერებული დაცვის ქვეშ მყოფი უძრავი ძეგლის დაზიანება ან განადგურება;

გ) გაძლიერებული დაცვის ქვეშ მყოფ უძრავ ძეგლზე, მუზეუმის, ბიბლიოთეკის, საარქივო საცავის ან შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევისათვის კულტურულ ფასეულობათა შესანახად შექმნილი სპეციალური სამალავის შენობებზე საომარი შეტევის განხორციელება ან ამ შენობების ან მათი ტერიტორიის საომარ ოპერაციებში გამოყენება“.[14]

14 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი - 259-ე მეხუთე პრიმა მუხლი.

6.5 კანონი დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ

დაცულ ტერიტორიებზე, მოქმედებს განსხვავებული სამართლებრივი რეჟიმი, ეს ეხება როგორც მასზე ადამიანის ზემოქმედებას, ასევე მოვლა-პატრონობას. რაც მნიშვნელოვანია ამ სივრცეში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვის თვალსაზრისით.

კანონი დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ არეგულირებს გარემოს დაცვის მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს და უზრუნველყოფს საქართველოს ბუნებრივი ეკოსისტემებისა და ლანდშაფტის დაცვასა და აღდგენას. კანონის პირველი მუხლი განსაზღვრავს საქართველოში დაცული ტერიტორიების სისტემის დაგეგმვის, კატეგორიების შერჩევისა და თითოეული დაცული ტერიტორიის დაარსებისა და ფუნქციონირების მიზნებს, მისი „ე“ პუნქტი განსაზღვრავს იმ ტერიტორიების დაცვას, რომლებიც მდებარეობენ ეროზიულ, ღვარცოფის, წყალდიდობა-წყალმოვარდნის, ზვავისა და მეწყრის აქტიური გავლენის ზონებში, აგრეთვე – ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების ფორმირების, გადინებისა და განტვირთვის არეალების დაცვას ანთროპოგენური ზემოქმედებისაგან. გარდა ამისა, მე-20 მუხლის თანახმად, კატასტროფის რისკის მართვა დაცული ტერიტორიების შიგნით ხორციელდება კატასტროფისა და საგანგებო სიტუაციების მართვის დროებითი რეგულირების მექანიზმების საშუალებით.

7 კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე პასუხისმგებელი ორგანოები

7.1 საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო

სამინისტროს საქმიანობა მოიცავს კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის სფეროებს. კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში სამინისტროს ძირითადი ამოცანებია: ა) კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის სფეროებში ქვეყნის ერთიანი პოლიტიკის შემუშავება, დაგეგმვა და მისი რეალიზების კოორდინაცია; ბ) მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის, კულტურის უძრავი და მოძრავი ძეგლების, ნებისმიერი მასალითა და საშუალებით ყოველ ისტორიულ ეპოქაში შექმნილი კულტურული და შემოქმედებითი მოღვაწეობის ნიმუშების, ფოლკლორის, ისტორიულ, არქეოლოგიურ, ეთნოლოგიურ, მემორიალურ, რელიგიურ, ესთეტიკურ, მხატვრულ, მეცნიერულ, ტექნიკურ, ტექნოლოგიურ თუ სხვა კულტურულ ღირებულებათა აღრიცხვა, დაცვა, შენარჩუნება და პოპულარიზაცია.

მისი ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და ამ მიზნით მისი სისტემატური შემოწმება; მოძრავი და უძრავი ძეგლების სახელმწიფო რეესტრში შეტანისა და მათი რეესტრიდან ამორიცხვის წესების დადგენა და შესრულება; ძეგლებისა და ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტების გამოვლენა, მათი ექსპერტიზა და კლასიფიკაცია; კულტურული მემკვიდრეობის ერთიანი საინფორმაციო ბანკის შექმნა; შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან ერთად არქეოლოგიური და არქიტექტურული ძეგლების, ძეგლთა კომპლექსების, ურბანული ძეგლების დამცავი ზონების დადგენა-დამტკიცება; ძეგლებზე ყოველგვარი სამუშაოს განხორციელების მეთოდოლოგიის დადგენა და მისი მიმდინარეობის კონტროლი; შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან ერთად კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ხელყოფის აღკვეთა; კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ძეგლებისა და ობიექტების გამოვლენისა და დაცვისათვის ანტიკვარული ნივთებით ვაჭრობის რეგულირება და შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან ერთად მისი კონტროლი; შესაბამისი პროფილის საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა; საქართველოს ძეგლების საერთაშორისო სტატუსის განსაზღვრისა და აღდგენა-დაცვის მიზნით, მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნების მიზნით ამ პროფილის საგანმანათლებლო საქმიანობის, პროფესიული დაოსტატების ხელშეწყობა; საქართველოს მთელ ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების დაცვისა და გამოყენებისათვის რეგიონული სამსახურების ჩამოყალიბებისა და განვითარების მხარდაჭერა; კულტურული მემკვიდრეობის სფეროში კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში სხვა საქმიანობის განხორციელება.

სამოქალაქო უსაფრთხოების გეგმის მიხედვით, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, როგორც მთავარი უწყება, ვალდებულია უხელმძღვანელოს კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების ევაკუაციის ღონისძიებების უზრუნველყოფას და კოორდინაცია გაუწიოს სხვა სახელმწიფო უწყებების მუშაობას ამ კუთხით, რათა ეროვნულ ფასეულობებს საგანგებო სიტუაციების დროს არ შეექმნათ განადგურების საფრთხე.

7.2 კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო

კულტურული მემკვიდრეობის დაცვაში მნიშვნელოვანი როლი აქვს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს, რომელიც 2008 წელს შეიქმნა.

მას აქვს განსაზღვრული მისია, რომელიც საკმაოდ მოცულობითია: კულტურული მემკვიდრეობის უძრავ-მოძრავი ძეგლებისა და ობიექტების, ქვეყნის მუზეუმ-ნაკრძალების დაცვა, მოვლა-პატრონობა და პოპულარიზაცია. ამასთან, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და ობიექტების ფიქსაცია, ინვენტარიზაცია, კულტურული მემკვიდრეობის გეოსაინფორმაციო ბაზის შექმნა; ძეგლთა დაცვის სფეროში საზღვარგარეთის წამყვან სამეცნიერო და საგანმანათლებლო ცენტრებსა და ორგანიზაციებთან თანამშრომლობის განვითარება; კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებსა და ობიექტებზე ჩასატარებელი კვლევითი და სარეაბილიტაციო სამუშაოების მეთოდოლოგიური ექსპერტიზა; ქვეყნის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების გამოვლენა და აღრიცხვა, დოკუმენტირება; სამეცნიერო კვლევითი, საკონსულტაციო და საექსპერტო საქმიანობის მართვის ხელშეწყობა; კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და განვითარება.

7.3 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო

საგანგებო სიტუაციების მართვის სამმართველო, მთავრობის N 508 დადგენილების საფუძველზე, წარმოადგენს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდამჭერ ორგანოს საგანგებო სიტუაციების დროს კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების ევაკუაციის ღონისძიებების უზრუნველყოფაში.

რაც შეეხება მის უშუალო უფლებამოსილებებს: სააგენტო, როგორც სამოქალაქო უსაფრთხოების ამოცანების გადასაწყვეტად სპეციალურად უფლებამოსილი ორგანო, უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციის პრევენციის, საგანგებო სიტუაციების მართვის ერთიანი სისტემის მზადყოფნის, საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებისა და საგანგებო სიტუაციის ზონაში აღდგენითი სამუშაოების ორგანიზებას, ასევე სამოქალაქო უსაფრთხოების ამოცანების გადასაწყვეტად სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის განხორციელების კოორდინირებას.

ვალდებულია განახორციელოს საქართველოში სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობისა და სამოქალაქო უსაფრთხოების კატეგორიისათვის მიკუთვნებული ობიექტების ზედამხედველობის ორგანიზება, ასევე ხანძართან დაკავშირებული ოპერატიული ვითარების კონტროლი.

ვალდებულია სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, აგრეთვე სახელმწიფო რწმუნებულს – გუბერნატორს წარუდგინოს წინადადებები და რეკომენდაციები სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების, საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების შესრულებისათვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე.

საგანგებო სიტუაციების რისკის შემცირების საერთაშორისო სტრატეგიის ფარგლებში შექმნას საგანგებო სიტუაციების რისკის შემცირების ეროვნული საზოგადოებრივი – სათათბირო ორგანო (ეროვნული პლატფორმა) – საექსპერტო საკონსულტაციო საბჭო და ორგანიზება გაუწიოს მის საქმიანობას.

7.4 ეროვნული საგანძურისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამმართველო

დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ეროვნული საგანძურის დაცვის სამმართველო ახორციელებს საქართველოში არსებული კულტურული მემკვიდრეობისა და ეროვნული საგანძურის დაცვას. დაცვის პოლიციის 500-ზე მეტი თანამშრომელი მთელი საქართველოს მასშტაბით სახელმწიფო მუზეუმებს, სახლ-მუზეუმებს, ეროვნულ გალერეებს, ეთნოგრაფიულ რეგიონულ საცავებს, ეროვნულ-კულტურულ ცენტრებს, არქეოლოგიურ მუზეუმ-ნაკრძალებს, ეთნოგრაფიულ-ისტორიულ მუზეუმებს იცავს. დაცვის პოლიცია უზრუნველყოფს სამუზეუმო კოლექციების უსაფრთხოებას მოგზაურობის დროს, როდესაც ისინი ქვეყნის ერთი რეგიონიდან მეორეში გადააქვთ გამოსაფენად.

საგანგებო სიტუაციების დროს დაცვის პოლიციის დეპარტამენტი, სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის მიხედვით, მნიშვნელოვან როლს ასრულებს კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების ევაკუაციის ღონისძიებების უზრუნველყოფაში. იგი ამ პროცესში წარმოადგენს მხარდამჭერ უწყებას და მოქმედებს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს კოორდინირების შესაბამისად.

7.5 ადგილობრივი თვითმმართველობა

კულტურული მემკვიდრეობის დაცვაში ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებთან ერთად აქტიურად არის ჩართული ადგილობრივი თვითმმართველობა, რომელსაც ექსკლუზიურად აქვს ნაკისრი ამის ვალდებულებები: „ადგილობრივი თვითმყოფადობის, შემოქმედებითი საქმიანობისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება; ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურის ძეგლთა მოვლა-შენახვა, რეკონსტრუქცია და რეაბილიტაცია; მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ბიბლიოთეკების, საკლუბო დაწესებულებების, კინოთეატრების, მუზეუმების, თეატრების, საგამოფენო დარბაზებისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების ფუნქციონირების უზრუნველყოფა და ახალი ობიექტების მშენებლობა“.[15]

თითოეულ მუნიციპალურ ერთეულს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში შექმნილი აქვს გამგეობის საგანგებო სიტუაციების სამსახური, რომელსაც ლოკალურ დონეზე ევალება: საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილებისა და მისი შედეგების ლიკვიდაციის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დაგეგმარება და რეალიზაცია; საგანგებო სიტუაციების შედეგების სალიკვიდაციოდ გამოყოფილი ძალებისა და საშუალებების გამოყენებაზე ოპერატიული ხელმძღვანელობა; ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობის განხორციელება სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობას დაქვემდებარებულ ობიექტებზე; ხანძრების პროფილაქტიკის ორგანიზება და განხორციელება, მათი ჩაქრობა და დაკისრებული საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩატარება; ხანძრებისა და მათი შედეგების, ასევე პირველი რიგის საავარიო-სამაშველო (ტექნიკური) სამუშაოების ჩატარება და აღრიცხვის ორგანიზაცია.

15 ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 16, ქვეპუნქტი „ტ“.

8 საომარი მდგომარეობა

საომარი მდგომარეობა გულისხმობს, საქართველოზე შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე განსაკუთრებული წესების გამოცხადებას, რაც შეესაბამება ქვეყნის თავდაცვის ინტერესებს. საომარი მდგომარეობა ცხადდება საქართველოს კონსტიტუციისა და ამ კანონის მიხედვით და მიზნად ისახავს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის, სახელმწიფო უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფას.

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საომარ მდგომარეობას აცხადებს საქართველოს პრეზიდენტი. საქართველოს პრეზიდენტი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით აფრთხილებს მოსახლეობას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საომარი მდგომარეობის გამოცხადების შესახებ, ხოლო გამოცხადებიდან 48 საათის განმავლობაში ეს გადაწყვეტილება შეაქვს საქართველოს პარლამენტში დასამტკიცებლად. თუ საქართველოს პარლამენტმა არ დაამტკიცა საომარი მდგომარეობის გამოცხადების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილება, ამ მომენტიდან საომარი მდგომარეობა გაუქმებულად ითვლება.

ომის მდგომარეობა საფრთხეს უქმნის ყველა საზოგადოებრივ სიკეთეს, მათ შორის – კულტურულ მემკვიდრეობას. ამიტომ მნიშვნელოვანია მის დასაცავად ამოქმედდეს შესაბამისი სამართლებრივი რეჟიმი.

საომარი მდგომარეობის ამოქმედებისთანავე ავტომატურად იწყებს მოქმედებას კულტურულ ფასეულობათა დაცვის შესახებ ჰაგის 1954 წლის კონვენცია – პირველი და მეორე ოქმი.

საომარი მდგომარეობის დროს ეროვნულ დონეზე კულტურული მემკვიდრეობის დაცვის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი წვლილი აქვს ეროვნულ გვარდიას.

საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ეროვნული გვარდია არის საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სტრუქტურული ქვედანაყოფი.

ეროვნულ გვარდიას აქვს რამდენიმე ისეთი ფუნქცია, რომელიც საომარი და საგანგებო სიტუაციის დროს შეიძლება, პირდაპირ დავუკავშიროთ კულტურული მემკვიდრეობის დაცვას, კერძოდ: სახელმწიფო სტრუქტურებთან კოორდინაციაში ომის, ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფებისა და სხვა სახის საგანგებო სიტუაციების დროს სამოქალაქო თავდაცვის ღონისძიებების დაგეგმვაში, ორგანიზებასა და აღსრულებაში მონაწილეობის მიღება; საგანგებო სიტუაციების ან საგანგებო მდგომარეობის დროს სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მხარდაჭერა.

ეროვნული გვარდიის დებულება დეტალურად არ განსაზღვრავს, თუ რას ეხება კონკრეტულად ესა თუ ის ფუნქცია, მაგალითად, უმჯობესი იქნება, თუ დაკონკრეტდება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კუთხით რა ფუნქცია აქვს გვარდიას. რათა არსებობდეს სრულფასოვანი ხედვა მემკვიდრეობის დაცვის ინფრასტრუქტურაში.

რაც შეეხება უშუალოდ საომარი მდგომარეობის შესახებ საქართველოს კანონს – მე-4 მუხლში, სადაც საუბარია აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების მიერ თავისი კომპეტენციის ფარგლებში, კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად

განსახორციელებელ ღონისძიებებზე, „ა“ ქვეპუნქტი ფორმულირებულია შემდეგნაირად: „გააძლიერონ საზოგადოებრივი წესრიგისა და იმ ობიექტების დაცვა, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსახლეობის საქმიანობას და მეურნეობის ფუნქციონირებას”. აქ უნდა დაკონკრეტდეს, რას მოიცავს გაძლიერებული დაცვის საჭიროების მქონე ობიექტები და მასში აუცილებლად უნდა შევიდეს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, როგორც ერის კულტურული საგანძური.

9 საგანგებო მდგომარეობა

“საგანგებო მდგომარეობა არის დროებითი ღონისძიება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ცხადდება საქართველოს მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინტერესებისათვის ომიანობის თუ მასობრივი არეულობის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის, სამხედრო გადატრიალებისა თუ შეიარაღებული ამბოხების, ეკოლოგიური კატასტროფებისა და ეპიდემიების დროს, სტიქიურ უბედურებათა, დიდი ავარიების, ეპიზოოტიების ან სხვა შემთხვევებში, როცა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები მოკლებულნი არიან კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა ნორმალური განხორციელების შესაძლებლობას. საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების მიზანია ვითარების უსწრაფესი ნორმალიზაცია, კანონიერებისა და მართლწესრიგის აღდგენა”.[16]

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ან მის რომელიმე ნაწილში საგანგებო მდგომარეობას აცხადებს საქართველოს პრეზიდენტი, რაც საჭიროებს საქართველოს პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციას. საქართველოს პრეზიდენტი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით აფრთხილებს მოსახლეობას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ან მის რომელიმე ნაწილში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ, ხოლო გამოცხადებიდან 48 საათის განმავლობაში ეს გადაწყვეტილება შეაქვს საქართველოს პარლამენტში დასამტკიცებლად. თუ საქართველოს პარლამენტმა არ დაამტკიცა საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილება საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ, ამ მომენტიდან საგანგებო მდგომარეობა გაუქმებულად ითვლება.

ფაქტორები, რომლებიც საფუძვლად უდევს საგანგებო მდგომარეობას, ბუნებრივია, რომ საფრთხის შემცველია კულტურული მემკვიდრეობისათვისაც, ამიტომ ასეთ ვითარებაში მისი დაცვის განსაკუთრებული რეჟიმი ირთვება.

თავისი უფლებამოსილების ფარგლებში სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭო არის ის ორგანო, რომელიც უშუალოდ უნდა ჩაერთოს საგანგებო ვითარების განმუხტვაში და შედეგების აღმოფხვრაში. მისი დებულების მე-2 მუხლის „ი“) შეიმუშავებს წინადადებებს მოვლენათა მძიმე პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, ეკოლოგიური და სხვა შედეგების თავიდან ასაცილებლად ან აღმოსაფხვრელად” და “კ“) ხელმძღვანელობს ეროვნული ინტერესებისათვის საფრთხის შემცველი ყველა ტიპის კრიზისული სიტუაციების მართვას უმაღლეს პოლიტიკურ დონეზე”. რადგან ყველა ტიპის კრიზისის აღმოფხვრაზეა საუბარი, მასში ბუნებრივად მოიაზრება, რომ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა/გადარჩენის ოპერაციებშიც ჩართულია კრიზისების მართვის საბჭო.

საგანგებო მდგომარეობის შესახებ საქართველოს კანონის მე - 4 მუხლში, სადაც საუბარია აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების მიერ თავისი კომპეტენციის ფარგლებში კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად განსახორციელებელ ღონისძიებებზე, ა) ქვეპუნქტი ფორმულირებულია შემდეგნაირად: “გააძლიერონ საზოგადოებრივი წესრიგისა და იმ ობიექტების დაცვა, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსახლეობის საქმიანობას და მეურნეობის ფუნქციონირებას”. **მნიშვნელოვანია, ამავე მუხლში დაკონკრეტდეს, რას მოიცავს გაძლიერებული დაცვის საჭიროების მქონე ობიექტები და მათ სიაში შევიდეს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული ძეგლები, როგორც ერის კულტურული საგანძური.**

16 საგანგებო მდგომარეობის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 1.

10 საგანგებო სიტუაცია

საგანგებო სიტუაცია თავისი არსით შეიძლება განიმარტოს შემდეგნაირად: ობიექტზე, გარკვეულ ტერიტორიაზე ან საზღვაო აკვატორიაში ბუნებრივი მოვლენების, სტიქიური უბედურების, ხანძრის, ავარიის, კატასტროფის ან სხვა სახის უბედურებების, აგრეთვე დაზიანების საბრძოლო საშუალებათა გამოყენების შედეგად წარმოქმნილი სიტუაცია, როდესაც ირღვევა ადამიანთა ცხოვრებისა და საქმიანობის ნორმალური პირობები, საფრთხე ემუქრება მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ზარალდება მოსახლეობა, ზიანდება ბუნებრივი და კულტურული გარემო. იგი არა მხოლოდ საომარი და საგანგებო მდგომარეობის ცხადდება, არამედ შესაძლოა იგი მშვიდობიანობის დროსაც გამოცხადდეს იმის მიხედვით, თუ რა მასშტაბთან და საფრთხესთან გვაქვს საქმე.

საქართველოს კანონმდებლობით, კონკრეტულად კი საგანგებო სიტუაციების კლასიფიკაციის განსაზღვრის წესის შესახებ დებულებით (მთავრობის დადგენილება N68), საგანგებო სიტუაციები იყოფა შემდეგ სახეობებად: საობიექტო, ადგილობრივი, ტერიტორიული, ეროვნული და ტრანსსასაზღვრო. თითოეული სახეობა მიუთითებს მისი გავრცელების მასშტაბს და არეალს, ასევე თუ რა ძალისხმევა სჭირდება მასთან გამკლავებას.

საობიექტო საგანგებო სიტუაციებს მიეკუთვნება სიტუაცია, რომლის გავრცელების ფარგლები არ სცდება საწარმოო და სოციალური დანიშნულების ობიექტის ტერიტორიის საზღვრებს, ან სატრანსპორტო ავარიები, რომელთა შედეგების ლიკვიდაციისათვის საკმარისია აღნიშნული ობიექტის სახანძრო-სამაშველო ძალები და საშუალებები, ხოლო დამხმარე ძალები ორ ეკიპაჟს არ აღემატება.

ადგილობრივ საგანგებო სიტუაციებს მიეკუთვნება სიტუაცია, რომლის გავრცელების ფარგლები არ სცდება დასახლებული პუნქტის (ქალაქის, მუნიციპალიტეტის) საზღვრებს, ხოლო მისი შედეგების ლიკვიდაციისათვის საკმარისია აღნიშნული დასახლებული პუნქტის (ქალაქის, რაიონის) სახანძრო-სამაშველო ძალები და საშუალებები, ხოლო დამხმარე ძალები ორ ეკიპაჟს არ აღემატება.

ტერიტორიულ საგანგებო სიტუაციებს მიეკუთვნება სიტუაცია, რომლის გავრცელების ფარგლები არ სცდება ავტონომიური რესპუბლიკის (ან რეგიონის) ადმინისტრაციულ საზღვრებს, ხოლო მისი შედეგების ლიკვიდაციისათვის საკმარისია აღნიშნული ავტონომიური რესპუბლიკის (ან რეგიონის) სახანძრო-სამაშველო ძალები და საშუალებები.

ეროვნულ საგანგებო სიტუაციებს მიეკუთვნება სიტუაცია, რომლის გავრცელების ფარგლები მოიცავს ორზე მეტი რეგიონის (ავტონომიური რესპუბლიკის, რეგიონის) საზღვრებს, ხოლო მისი შედეგების ლიკვიდაციისათვის გამოიყენება ქვეყნის სახანძრო-სამაშველო ძალები და საშუალებები.

ტრანსსასაზღვრო საგანგებო სიტუაციებს მიეკუთვნება საგანგებო სიტუაცია, რომლის დამაზიანებელი ფაქტორები სცდება საქართველოს საზღვრებს, ხოლო მისი შედეგების ლიკვიდაციისათვის გამოიყენება მეზობელი ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების სახანძრო-სამაშველო ძალები და საშუალებები.

საგანგებო სიტუაციის გამომწვევი კატასტროფა ორ კლასად იყოფა: ტექნოგენური და ბუნებრივი. ხოლო როდესაც კონკრეტული შემთხვევა ხდება, მას ენიჭება თავისი კოდი, მაგალითად, ხანძარი კულტურული მემკვიდრეობის ობიექტზე, მისი კოდი იქნება 10206,

არის საგანგებო სიტუაციის კლასი (ტექნოგენური კატასტროფა), 02 – საგანგებო სიტუაციის ჯგუფი (ხანძრები, აფეთქებები, აფეთქების საფრთხეები), 06 – საგანგებო სიტუაციის სახეობა (ხანძრები (აფეთქებები) საცხოვრებელ, საყოფაცხოვრებო და კულტურული დანიშნულების შენობებსა და ნაგებობებში).

10.1 რეაგირება ტექნოგენურ და ბუნებრივ კატასტროფებზე

იმისათვის, რომ ტექნოგენურმა და ბუნებრივმა კატასტროფებმა ნაკლები ზიანი გამოიწვიოს და მაქსიმალურად სწრაფად აღმოიფხვრას მათ მიერ მიყენებული შედეგები, სახელმწიფო შეიმუშავებს წინასწარ რეაგირების გეგმას, რომლის მიზანიც იდეაში უნდა იყოს არა მხოლოდ უარყოფით შედეგებთან ბრძოლა, არამედ კატასტროფების პრევენცია.

საქართველოს პრეზიდენტმა 2008 წლის 26 აგვისტოს გამოსცა ბრძანებულება N415 - ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებზე ეროვნული რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ.

ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებზე ეროვნული რეაგირების გეგმა არის ერთიან სისტემაში მყოფ სამინისტროთა, მათი მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებათა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირთა რეაგირების გეგმების ერთობლიობა, რომელიც ითვალისწინებს ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვას.

მისი ძირითადი ამოცანაა ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვა, საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილებისა და ამ სიტუაციით გამოწვეული შედეგების ლიკვიდაციის ღონისძიებების, სახანძრო-სამაშველო, საძიებო-სამაშველო, საავარიო-სამაშველო და საავარიო-აღდგენითი სამუშაოების ორგანიზება და კოორდინირება, მართვის პუნქტების, შეტყობინებისა და კავშირგაბმულობის სისტემის მუდმივი მზადყოფნა, დაზარალებული მოსახლეობის ევაკუაცია, განთავსება და სასიცოცხლო უზრუნველყოფა, ცხოველების, მცენარეების, სურსათის, წყალსაცავებისა და წყალმომარაგების სისტემების დაცვა რადიოაქტიური, ქიმიური და ბაქტერიოლოგიური დაბინძურებისაგან (დასნებოვნებისაგან), მასიური მოწამვლებისა და დაავადებათა კონტროლი, ტყის ხანძრების ჩაქრობის ორგანიზებისა და ასევე სამრეწველო და სოციალური დანიშნულების ობიექტების სტაბილური ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

ერთიანი სისტემის საქმიანობის მართვას ახორციელებენ, სახელმწიფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის შესაბამისად, მართვის დონეების მიხედვით სპეციალურად უფლებამოსილი სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები : ეროვნული – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტი; ავტონომიურს – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სტრუქტურული დანაყოფები; ადგილობრივს – ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საგანგებო სიტუაციების მართვის დანაყოფები. წარმოქმნილ საგანგებო სიტუაციებზე სათანადო რეაგირებისათვის მოქმედებს შემდეგი მართვის ცენტრები:

ა) ეროვნულ დონეზე:

ა.ა) საგანგებო სიტუაციების მართვის სამთავრობო კომისია;

ა.ბ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტში შექმნილი კრიზისების მართვის საუწყებათაშორისო ოპერატიული ცენტრი;

ბ) ადგილობრივ დონეზე – ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს საგანგებო შტაბი, რომლის ტერიტორიაზეც წარმოიქმნა საგანგებო სიტუაცია ან/და არსებობს მისი განვითარების საშიშროება;

გ) საველე ოპერაციების ცენტრი (უშუალოდ საგანგებო სიტუაციის ზონაში ან მის მიმდებარედ).

საგანგებო სიტუაციაზე ეფექტური რეაგირებისთვის ბრძანებულებით დაყოფილია კონკრეტული ფუნქციები, რომელზე რეაგირებაც წინასწარ განსაზღვრულმა სახელმწიფო და ადგილობრივმა ორგანოებმა უნდა მოახდინონ თავიანთი კომპეტენციის და შესაძლებლობის ფარგლებში. სულ გამოყოფილია 17 ფუნქცია: ფუნქცია 1 – საგანგებო მართვის უზრუნველყოფა; ფუნქცია 2 – კავშირგაბმულობისა და შეტყობინების ღონისძიებების უზრუნველყოფა; ფუნქცია 3 – მოსახლეობის ევაკუაციის ღონისძიებების უზრუნველყოფა; ფუნქცია 4 – საძიებო-სამაშველო, საავარიო-სამაშველო და საავარიო-აღდგენითი სამუშაოების ღონისძიებების უზრუნველყოფა; ფუნქცია 5 – სატრანსპორტო უზრუნველყოფა; ფუნქცია 6 – სამედიცინო უზრუნველყოფა; ფუნქცია 7 – დიპლომატიური პროტოკოლისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული მხარდაჭერის უზრუნველყოფა; ფუნქცია 8 – ტყის ხანძრებზე ხანძარსაწინააღმდეგო უზრუნველყოფა; ფუნქცია 9 – ენერგომომარაგების უზრუნველყოფა; ფუნქცია 10 – მცენარეთა და ცხოველთა დაცვის უზრუნველყოფა; ფუნქცია 11 – ქიმიური და რადიაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა; ფუნქცია 12 – მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა; ფუნქცია 13 – საინჟინრო უზრუნველყოფა; ფუნქცია 14 – საზოგადოებრივი წესრიგისა და მატერიალურ ფასეულობათა დაცვის უზრუნველყოფა; ფუნქცია 15 – საგზაო უზრუნველყოფა; ფუნქცია 16 – სურსათითა და წყლით უზრუნველყოფა; ფუნქცია 17 – კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების ევაკუაციის ღონისძიებების უზრუნველყოფა.

უშუალოდ მე-17 ფუნქცია პირდაპირ შემხებლობაშია კულტურული მემკვიდრეობის დაცვასთან. "ეროვნულ დონეზე საგანგებო სიტუაციების დროს მოძრავი ობიექტების ევაკუაციის უზრუნველყოფის სფეროში მართვას ახორციელებს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო." ავტონომიურ და ადგილობრივ დონეზე "საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო" უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციებისას მოძრავი ობიექტების ევაკუაციის ღონისძიებების მართვას აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ერთად.

10.2 როგორ სრულდება საგანგებო დახმარების მე -17 ფუნქცია – კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების ევაკუაციის ღონისძიებების უზრუნველყოფა

საგანგებო სიტუაციის შეტყობინების შემდეგ „საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო" უზრუნველყოფს უფლებამოსილი ექსპერტების მივლინებას ოპერატიულ ცენტრში.

იგი ქმნის **საგანგებო შტაბს**. შტაბი მუშაობს სამინისტროში არსებული **რეაგირების გეგმის** მიხედვით. ასევე იქმნება საგანგებო სიტუაციის **პირველადი რეაგირების ჯგუფი.**

სამინისტრომ შეიძლება მოითხოვოს სათანადო დახმარება მხარდამჭერი უწყებიდან, თუ საკუთარი ძალებით ვერ უმკლავდება არსებულ პრობლემას. ამ ვითარებაში სამინისტროს დახმარებას უწევს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტი.

საგანგებო შტაბის ფუნქციები:

საგანგებო დახმარების ფუნქცია №17-ის ამოქმედება და მისი კოორდინაცია; საველე ოპერაციების კოორდინაცია. შტაბი გამოყოფს წარმომადგენლებს, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა აღმოჩნდნენ საგანგებო სიტუაციის ზონაში საგანგებო რეაგირების ჯგუფთან ერთად (საველე ოპერაციების ცენტრში).

ევაკუაციის ორგანიზებულად ჩასატარებლად იქმნება კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების მოსამზადებელი, გაგზავნის და მიმღები პუნქტები. კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების ევაკუაციის უზრუნველყოფის ამოცანებია:

- კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების დაცვის ღონისძიებების გატარება;
- კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების მომზადების, სპეციალური შეფუთვისა და დატვირთვის მიზნით ფორმირებების მომზადება;
- კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების ტრანსპორტირება საგანგებო სიტუაციების ზონებიდან;
- კულტურული მემკვიდრეობის ევაკუაციისათვის საჭირო სატრანსპორტო საშუალებების გაანგარიშება, საევაკუაციო მარშრუტების დაგეგმვა;
- კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების განთავსების ობიექტების განსაზღვრა, მათი უსაფრთხო განთავსებისა და დასაწყობების უზრუნველყოფა;
- რეკომენდაციების გაწევა კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების ევაკუაციასთან დაკავშირებული საკითხების მომზადებასა და საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელებაში.

სამინისტროს მხარდამჭერი უწყებები უწევენ შემდეგი სახის დახმარებას:

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტი – ახორციელებს კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების ევაკუაციის ღონისძიებების კოორდინაციას.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი – უზრუნველყოფს ევაკუაციის მარშრუტებზე და გამგზავნ და მიმღებ პუნქტებში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დაცვის პოლიციის დეპარტამენტი – უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციების ზონაში კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების დაცვას.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო – მონაწილეობს მოძრავი ობიექტების ევაკუაციის სფეროში გასატარებელ ღონისძიებებში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაცია – უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციების ზონიდან მოძრავი ობიექტების ევაკუაციას საავტომობილო, სარკინიგზო, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტით.

საქართველოს ეროვნული ბანკი – ორგანიზებას უკეთებს საქართველოს ეროვნულ ბანკში დაცული ფინანსური ფასეულობების უსაფრთხო ზონაში ევაკუაციას.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საზოგადოებრივი მაუწყებელი – ორგანიზებას უკეთებს ისტორიული მნიშვნელობის ტელე-რადიოჩანაწერებისა („ოქროს ფონდში" დაცული აუდიოფირები) და ეროვნული მნიშვნელობის სხვა ფასეულობათა უსაფრთხო ზონაში ევაკუაციას.

ეროვნული რეაგირების გეგმის ხარვეზები

ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფები დიდ საფრთხეს წარმოადგენს არა მხოლოდ კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტებისათვის, არამედ – უძრავი კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებისთვისაც. მე-17 ფუნქციის მიზანს მხოლოდ მოძრავი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა წარმოადგენს, შესაბამისად, უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ღონისძიებებზე არაფერია ნათქვამი მასში, რაც არასწორია.

მეორე საკითხი ეხება უშუალოდ სამინისტროს მიერ საგანგებო შტაბის შექმნას. განსასაზღვრია, კერძოდ, ვინ შედის ამ შტაბში. უცნობია, მასში შემავალ პირთა და ორგანოთა მომზადების დონე, კვალიფიკაცია, თითოეულ წევრს რა სახის სპეციფიკური ცოდნა აქვს მიღებული, რომელიც საჭიროა მემკვიდრეობის ძეგლთა სხვადასხვა ტიპოლოგიისთვის პირველადი დახმარების აღმოსაჩენად და გადასარჩენად. აღნიშნული, ალბათ, სამინისტროს დონეზე უნდა იყოს ორგანიზებული, რათა საგანგებო სიტუაციის დადგომისთანავე, მათმა კვალიფიციურმა კადრებმა ადეკვატური რეაგირება მოახდინონ გამოწვევაზე.

10.3 მთავრობის დადგენილება N508

პრეზიდენტის მიერ 2008 წელს მიღებული ბრძანებულება მოქმედი დოკუმენტია მაშინ, როცა მის პარალელურად მოქმედებს საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმა (დადგენილება N508 - 24/09/2015). არსობრივად ეს ორი დოკუმენტი ერთსა და იმავე საკითხებს აწესრიგებს. მთავრობის დადგენილება ცდილობს, უფრო დააკონკრეტოს საგანგებო სიტუაციებში ჩართული ორგანოების უფლებამოსილებები, ასევე საგანგებო დახმარების ფუნქციების განსხვავებულ იერარქიას გვთავაზობს, მაგალითად, მთავრობის დადგენილებაში კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების ევაკუაციის ღონისძიებების უზრუნველყოფა არის მე-13 ფუნქცია, პრეზიდენტის ბრძანებულებაში კი – მე-17. თუმცა, საერთო ჯამში, ამ ორ დოკუმენტს შესაძლოა ვუწოდოთ იდენტური სამართლებრივი აქტები.

ვინაიდან მთავრობის დადგენილება ახალი სამართლებრივი დოკუმენტია, ამასთან პოლიტიკური კუთხით აღმასრულებელ ხელისუფლებაზე მთლიანი პასუხისმგებლობა მთავრობას ეკისრება, ბუნებრივია, რომ დღეის მდგომარეობით, ძირითადად, შეიძლება დავეყრდნოთ მთავრობის N508 დადგენილებას, როგორც ვალიდურ დოკუმენტს.

სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმა წარმოადგენს საქართველოს საგანგებო სიტუაციების მართვის ერთიანი სისტემის ძირითად სახელმძღვანელო დოკუმენტს, რომელიც სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში აწესრიგებს ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობას. იგი განსაზღვრავს: საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა

და ტერიტორიის დაცვის მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს, მათ მოცულობას, განხორციელების წესსა და მის შესრულებაზე პასუხისმგებელ ძირითად და დამხმარე სუბიექტებს არსებული ძალებისა და საშუალებების, სოციალურ-ეკონომიკური, ბუნებრივი და სხვა მახასიათებლების გათვალისწინებით; საგანგებო სიტუაციების პრევენციის, მისთვის მზადყოფნის, საგანგებო სიტუაციის წარმოქმნის შემთხვევაში მასზე რეაგირებისა და აღდგენითი სამუშაოების წარმართვის წესს.

ეროვნული გეგმის მიზანია საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების, მისი მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების, ავტონომიური რესპუბლიკების, შესაბამის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციები და მუნიციპალიტეტების ორგანოების და სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მომუშავე ორგანიზაციების საქმიანობის წარმართვა სამოქალაქო უსაფრთხოების ამოცანების გადასაწყვეტად ეროვნულ დონეზე.

სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის ამოცანა

ეროვნული გეგმის ძირითადი ამოცანაა საგანგებო სიტუაციების პრევენცია და მისთვის მზადყოფნა, საგანგებო სიტუაციის წარმოქმნის შემთხვევაში მასზე რეაგირება და აღდგენითი სამუშაოების ჩატარება, მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, გარემოსა და ეკონომიკის ობიექტების დაცვა, მატერიალური ზიანის შემცირება, საომარი მოქმედებების დროს წარმოქმნილი საგანგებო სიტუაციისაგან მოსახლეობის დაცვა, სამოქალაქო უსაფრთხოების კატეგორიისათვის მიკუთვნებული ობიექტის უსაფრთხო და სტაბილური ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

საგანგებო მართვისა და რისკის მართვის გეგმები

ეროვნული გეგმა ეფუძნება ერთიანი სისტემის სუბიექტების საგანგებო მართვისა და საგანგებო სიტუაციის რისკის მართვის გეგმებს. სპეციალურად უფლებამოსილ ორგანოსთან – შსს სსიპ – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსთან შეთანხმებით, უწყების (სამინისტროს) დარგობრივ საგანგებო მართვისა და რისკის მართვის გეგმებს ამტკიცებს შესაბამისი უწყების (სამინისტროს) ხელმძღვანელი. **თუმცა კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროს აღნიშნული გეგმები არ გააჩნია.**

შსს სსიპ – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულთან შეთანხმებით, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, მუნიციპალიტეტების ორგანოების საგანგებო მართვისა და რისკის მართვის გეგმებს ამტკიცებენ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობების მეთაურები, სახელმწიფო რწმუნებულები – გუბერნატორები და მუნიციპალიტეტების ორგანოების ხელმძღვანელები.

შსს სსიპ – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ ერთეულთან შეთანხმებით, ორგანიზაციის საგანგებო მართვის გეგმას ამტკიცებს შესაბამისი ორგანიზაციის ხელმძღვანელი.

მე-13 ფუნქცია - კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების ევაკუაციის ღონისძიებების უზრუნველყოფა

ამ ფუნქციის მიზანია: 1) კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტების დაცვის მიზნით მზადყოფნის ღონისძიებების შემუშავება და მათი განხორციელების კოორდინირება; 2) კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების უსაფრთხო ზონაში ევაკუაციის უზრუნველყოფის ძირითადი ღონისძიებების შემუშავება და მათი განხორციელების კოორდინირება; 3) კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების საევაკუაციო ღონისძიებების უზრუნველყოფა; 4) საგანძურისა და ფინანსური ფასეულობების დაცვის უზრუნველყოფა.

ეროვნულ დონეზე საგანგებო სიტუაციების დროს მოძრავი ობიექტების ევაკუაციის უზრუნველყოფის სფეროში მართვას ახორციელებს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო – **ძირითადი უწყება**. ავტონომიურ, სამხარეო და ადგილობრივ დონეზე საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციებისას მოძრავი ობიექტების ევაკუაციის ღონისძიებების მართვას აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობებთან, სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციისა და მუნიციპალიტეტების ორგანოებთან ერთად.

მზადყოფნა

კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების ევაკუაციის ღონისძიებების უზრუნველყოფა – **ფუნქცია №13**, მოიცავს, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სახელმწიფო ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტების ორგანოების ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობისა და დარგობრივი დაქვემდებარების შესაბამისად, **მშვიდობიანობისა და საომარი მოქმედებების დროს წარმოქმნილი საგანგებო სიტუაციებისაგან კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების ევაკუაციის მზადყოფნის ღონისძიებების მუდმივად ორგანიზებას.**

კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების ევაკუაციის მზადყოფნის ღონისძიებების ორგანიზება ხორციელდება **რისკის მართვისა და საგანგებო მართვის დარგობრივი გეგმების** საფუძველზე საგანგებო სიტუაციების განვითარების სავარაუდო სცენარების მიხედვით, რომლებშიც, საპროგნოზო მონაცემებზე დაყრდნობით, უნდა განისაზღვროს საგანგებო სიტუაციის შესაძლო შედეგების (როგორც პირდაპირი, ისე მეორეული – ხანძარი, მოწამვლა, მეწყერი და სხვ.) ხასიათი და რაოდენობრივი მონაცემები.

საგანგებო სიტუაციების განვითარების სავარაუდო სცენარების მომზადების დროს გათვალისწინებულ უნდა იქნას საფრთხის წინაშე მყოფი კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების ოდენობრივი და მოცულობის მახასიათებლები, დაცულობის ხარისხი, საგანგებო სიტუაციების ზონაში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ძალები და საშუალებები.

ევაკუაციის ღონისძიებების კოორდინაცია

საგანგებო სიტუაციის შესახებ შეტყობინების მიღების შემდეგ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო უზრუნველყოფს უფლებამოსილი პირის მივლინებას საუწყებათაშორისო ოპერატიულ ცენტრში. საუწყებათაშორისო ოპერატიული ცენტრის

გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო იწყებს შესაბამისი ღონისძიებების (ფუნქცია №13) განხორციელებას. შესაბამისად, ფუნქციონირებას იწყებს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს **საგანგებო შტაბი**, რომელიც მუშაობს სამინისტროში არსებული **საგანგებო მართვის გეგმის** მიხედვით, ამავე გეგმის მიხედვით უნდა იხელმძღვანელოს საგანგებო სიტუაციის **პირველადი რეაგირების ჯგუფმაც**.

საგანგებო შტაბი იღებს სრულ პასუხისმგებლობას ფუნქცია N13 -ით გათვალისწინებულ მოქმედებათა კოორდინაციაზე.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ შეიძლება მოითხოვოს სათანადო დახმარება მხარდამჭერი უწყებიდან, თუ საკუთარი ძალებით ვერ უზრუნველყოფს საგანგებო დახმარების ფუნქცია №13-ის შესრულებას.

ქმედებათა ერთობლიობა

ა) საგანგებო სიტუაციების ზონებიდან კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების ევაკუაციის უზრუნველყოფისათვის აუცილებელია ღონისძიებების წინასწარ დაგეგმვა;

ბ) ევაკუაციის ორგანიზებულად ჩასატარებლად იქმნება კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების მოსამზადებელი, გაგზავნის და მიმღები პუნქტები;

გ) კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების ევაკუაციის უზრუნველყოფის ამოცანებია: კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების დაცვის ღონისძიებების გატარება; კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების მომზადების, სპეციალური შეფუთვისა და დატვირთვის მიზნით ფორმირებების მომზადება; კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების ტრანსპორტირება საგანგებო სიტუაციების ზონებიდან; კულტურული მემკვიდრეობის ევაკუაციისათვის საჭირო სატრანსპორტო საშუალებების გაანგარიშება, საევაკუაციო მარშრუტების დაგეგმვა; კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების განთავსების ობიექტების განსაზღვრა, მათი უსაფრთხო განთავსებისა და დასაწყობების უზრუნველყოფა; რეკომენდაციების შემუშავება კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების ევაკუაციასთან დაკავშირებული საკითხების მომზადებასა და საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელების საკითხებზე.

აღდგენითი სამუშაოები

კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების ევაკუაციის უზრუნველყოფა – ფუნქცია №13, მოიცავს კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების მუდმივი განთავსების ადგილებში უსაფრთხოდ დაბრუნებისა და დაზიანებების აღმოფხვრის მიზნით პირველი რიგის ღონისძიებების გატარებას. აღნიშნული ღონისძიებები ხორციელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სახელმწიფო ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტების ორგანოების მიერ, მათი დარგობრივი დაქვემდებარებისა და ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის შესაბამისად, მოსახლეობისა და ორგანიზაციების მონაწილეობით.

მხარდამჭერი უწყებები და მათი მონაწილეობა ფუნქცია N13-ში:

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო – დახმარებას უწევს კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების ევაკუაციის ღონისძიებების განხორციელებაში.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი – ევაკუაციის მარშრუტებზე, გამგზავნ და მიმღებ პუნქტებში, უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დაცვის პოლიციის დეპარტამენტი – უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციების ზონაში კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების დაცვას.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო – მონაწილეობს მოძრავი ობიექტების ევაკუაციის სფეროში გასატარებელ ღონისძიებებში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირები – სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო, სამოქალაქო ავიაციის სააგენტო – საგანგებო სიტუაციების ზონიდან მოძრავი ობიექტების ევაკუაციისას უზრუნველყოფენ საავტომობილო, სარკინიგზო, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტით მომსახურებას.

საქართველოს ეროვნული ბანკი – ორგანიზებას უკეთებს საქართველოს ეროვნულ ბანკში დაცული ფინანსური ფასეულობების უსაფრთხო ზონაში ევაკუაციას.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი საზოგადოებრივი მაუწყებელი – ორგანიზებას უკეთებს ისტორიული მნიშვნელობის ტელე-რადიო ჩანაწერებისა („ოქროს ფონდში“ დაცული აუდიო და ვიდეოფირები) და ეროვნული მნიშვნელობის სხვა ფასეულობათა უსაფრთხო ზონაში ევაკუაციას.

ეროვნული გეგმის ხარვეზები

ეროვნული გეგმით განსაზღვრული ფუნქცია N13-ის მიზანს წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის როგორც უძრავი, ისე მოძრავი ობიექტების დაცვა. თუმცა ეს მხოლოდ მიზანია, რეალურად არც ერთი ღონისძიება, რომელიც ხორციელდება ძირითადი და დამხმარე უწყებების მეშვეობით, არ აღწერს, თუ როგორ უნდა მოხდეს უძრავი კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების დაცვა ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფებისაგან ან შემდგომ.

ბუნდოვანია ასევე სამინისტროს მიერ შექმნილი **საგანგებო შტაბის**, ისევე როგორც საგანგებო სიტუაციის **პირველადი რეაგირების** ჯგუფის, შემადგენლობა, კომპეტენცია, რადგან, საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ მის წევრებს ჰქონდეთ სპეციალური ცოდნა, რომლითაც შეძლებენ კულტურული მემკვიდრეობის ხარისხიან დაცვას სხვადასხვა სახის კატასტროფებისას (წყალდიდობა, მეწყერი, ხანძარი და ა. შ.). ჩვენი აზრით, სასურველია, ეს ჯგუფი იყოს მრავალდისციპლინური და მასში შედიოდნენ ისეთი სპეციალობის მქონე პირები, როგორებიც არიან: ინჟინერი, გეოლოგი, არქიტექტორ-რესტავრატორი, ფერწერისა და ქვის რესტავრატორი და სხვ.).

ტექნიკური თვალსაზრისით, აუცილებელია, რომ სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნულმა გეგმამ დეტალურად განსაზღვროს და შექმნას ნუსხა, თუ რას მოიცავს სამოქალაქო

უსაფრთხოების კატეგორიისთვის მიკუთვნებული ობიექტები. ამ ნუსხაში, ბუნებრივია, უნდა იყოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები.

მნიშვნელოვანია, რომ გეგმაში არსებობდეს მონახაზი, თუ რა კეთდება კონკრეტული საგანგებო სიტუაციის დადგომამდე კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების მომზადება/აღჭურვის კუთხით, ანუ, პრევენციისა და პირველადი რეაგირების თვალსაზრისით რა ევალება ძირითად და დამხმარე უწყებებს, ვინაიდან მხოლოდ დამდგარ შედეგზე რეაგირება ზიანის რისკებს ბუნებრივად ზრდის.

11 სამოქაღაქო უსაფრთხოება

სახელმწიფო ნებისმიერი ტიპის საფრთხეზე უნდა რეაგირებდეს მყისიერად. რეაგირების ელემენტს წარმოადგენს ამ კუთხით მყარი სამართლებრივი ბაზის არსებობა. საქართველოში მოქმედებს კანონი სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ, რომელიც მიღებულია 2014 წელს. ეს კანონი განსაზღვრავს: სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებებს, ფიზიკური პირებისა და იურიდიული პირების უფლებებსა და მოვალეობებს; მშვიდობიანობისა და საომარი მოქმედებების დროს წარმოქმნილი საგანგებო სიტუაციების მართვის ერთიანი სისტემის (შემდგომ – ერთიანი სისტემა) შექმნისა და საქმიანობის წესს, ამ სისტემის სუბიექტების უფლებებსა და მოვალეობებს.

იგი საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში გამოიყენება „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ხოლო საომარი მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში – „საომარი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მისი მიზანია: ა) საქართველოში სამოქალაქო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამართლებრივი რეგულირება; ბ) საგანგებო სიტუაციის დროს მოსახლეობის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ქონების, აგრეთვე სახელმწიფო, მუნიციპალიტეტის, ფიზიკური და იურიდიული პირების ქონებისა და გარემოს დაცვა; გ) ერთიანი სისტემის სუბიექტებს შორის ურთიერთობის რეგულირება, აგრეთვე მათი უფლებების, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის განსაზღვრა; დ) ერთიანი სისტემის შექმნის უზრუნველყოფა და მისი საქმიანობის ორგანიზება, მათ შორის, სახანძრო-სამაშველო დანაყოფების შექმნა და მათი საქმიანობის ორგანიზება; ე) ხანძრის პროფილაქტიკის, ჩაქრობისა და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ორგანიზებისა და ჩატარების პროცედურების განსაზღვრა, საგანგებო სიტუაციის პრევენციის, მასზე რეაგირების, მისი შედეგების მიტიგაციისა და ლიკვიდაციის უზრუნველყოფა.

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რომ სამოქალაქო უსაფრთხოების კანონის მე-2 მუხლის „ბ“ პუნქტსა და მე-3 მუხლის „ო“ პუნქტს დაემატოს “კულტურული მემკვიდრეობის უძრავი და მოძრავი ძეგლების დაცვა”. ასევე, მისი მე-5 მუხლის მე-20 და 21-ე პუნქტს დაემატოს “კულტურული მემკვიდრეობის ინსტიტუცია”.

11.1 ხანძარი

ამა წლის 2 ნოემბერს ვარძიის სამონასტრო კომპლექსის ღვთისმშობლის სახელობის მოქმედ ტაძარს ხანძარი გაუჩნდა, რამაც დააზიანა ისტორიული ფრესკები, რომელთა აღდგენა და პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნება თითქმის შეუძლებელი შეიქმნა. ეს ფაქტი ხაზს უსვამს, თუ რა საფრთხეს წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობისათვის ხანძარი, ობიექტის სპეციფიკიდან გამომდინარე. ამიტომ მასზე რეაგირებაც უნდა მოხდეს სპეციფიკურად, რათა ხანძრის ლოკალიზების მცდელობამ მეტი ზიანი არ შეუქმნას ობიექტს.

სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ საქართველოს კანონი ცდილობს დაადგინოს

ხანძართან ბრძოლის ის სტანდარტები, რომელიც ეხება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს. მე-20 მუხლის "ლ" ქვეპუნქტი საქართველოს მთავრობას ავალდებულებს ეროვნული საგანძურისა და კულტურული მემკვიდრეობის იმ ობიექტების ჩამონათვალის მომზადებას, რომელთათვისაც აუცილებელია სახანძრო დაცვის შექმნა. 36-ე მუხლის მეორე ნაწილით კი შესაძლებელია - „ფიზიკური და იურიდიული პირების ქონების ხანძრისაგან დაცვის უზრუნველყოფისათვის სახელმწიფო სახანძრო დაცვის სახელშეკრულებო დანაყოფი შეიძლება შეიქმნას ობიექტის მესაკუთრის მიმართვის საფუძველზე, სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტებში, პოტენციურად საშიშ ობიექტებში, ეროვნული საგანძურის, კულტურული მემკვიდრეობისა და მასობრივი თავშეყრის ობიექტებში. სახელშეკრულებო დანაყოფის მიერ სახანძრო უსაფრთხოების სფეროში სამუშაოების შესრულებისა და მომსახურების გაწევის წესს ამტკიცებს საქართველოს მთავრობა".

49-ე მუხლის თანახმად - კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში შეტანილი ობიექტები წარმოადგენს სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობისათვის მიკუთვნებულ ობიექტებს.

აღნიშნული კანონის თანახმად, საქართველოს მთავრობას აღებული აქვს ვალდებულება, რომ 2016 წლის 31 დეკემბრამდე მიიღებს დადგენილებას,[17] განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, პოტენციურად საშიში ეროვნული საგანძურისა და კულტურული მემკვიდრეობის იმ ობიექტების ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ, რომელთათვისაც აუცილებელია სახანძრო დაცვის შექმნა. თუმცა, ამ დროისათვის მთავრობას აღნიშნული დადგენილება არა აქვს მიღებული.

17 საქართველოს კანონი სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ, მუხლი 56, მე-10 პუნქტის "ლ" ქვეპუნქტი.

12 პრობლემები და გადაჭრის გზები

განხილული სამართლებრივი დოკუმენტების ანალიზი წინა პლანზე წევს რამდენიმე ისეთ პრობლემას, რომელიც პირდაპირ უკავშირდება კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების ეფექტიან დაცვას საგანგებო სიტუაციებისას.

ჩვენს რეალობაში გვაქვს ორი ძირითადი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ღონისძიებებს, სტრუქტურასა და მეთოდიკას. ესენია: პრეზიდენტის N415 ბრძანებულება – ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებზე ეროვნული რეაგირების გეგმა 2008 წლისა და 2015 წლის მთავრობის N-508 დადგენილება – სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმა. როგორც ზევით აღვნიშნეთ, ეს ორი დოკუმენტი არსებითად იდენტურია, თან ორივე ერთდროულად მოქმედია. ეს მოცემულობა კი ნამდვილად არაა სახარბიელო, ვინაიდან ახალი დოკუმენტის შემუშავებისას მთავრობას უნდა გაეთვალისწინებინა ის ხარვეზები, რომლებიც არსებობდა პრეზიდენტის ბრძანებულებაში. მაგრამ ეს არ გაკეთებულა.

პრეზიდენტის ბრძანებულებით, საგანგებო სიტუაციებისას კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ხდება N17 ფუნქციით (კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების ევაკუაციის ღონისძიებების უზრუნველყოფა), ამ ფუნქციის მიზანს წარმოადგენს, მხოლოდ მოძრავი კულტურული ობიექტების დაცვა და არაფერია ნათქვამი უძრავი ობიექტების დაცვაზე. მთავრობის 2015 წლის დადგენილებამ ეს სიცარიელე შეავსო და უძრავი ობიექტების დაცვის ვალდებულებაც აიღო, მაგრამ ეს მხოლოდ ფორმალურად გააკეთა, რადგან ამ დადგენილებაში არცერთი ღონისძიება არ გაწერა, რომლის მეშვეობითაც უნდა მოხდეს უძრავი ობიექტების დაცვა.

პრეზიდენტის 2014 წლის ბრძანებულებაში – კატასტროფის რისკის შემცირების სისტემის ინსტიტუციური შესაძლებლობების შეფასების ანალიზში რეკომენდაციის სახით მოცემულია, რომ "ეროვნული რეაგირების გეგმის გადახედვის ამჟამინდელი პროცესი გამოყენებულ იქნას იმ სამინისტროების როლებისა და პასუხისმგებლობების უფრო მკაფიოდ განსაზღვრა - გაძლიერებისათვის, რომლებიც გეგმის N 17 ფუნქციაზე არიან პასუხისმგებელი".[18] საბოლოოდ, აღნიშნული რეკომენდაცია საქართველოს მთავრობამ არ გაითვალისწინა და 2015 წლის დოკუმენტში კვლავ ბუნდოვანია სამინისტროების პასუხისმგებლობების ფუნქცია N13-ში (კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების ევაკუაციის ღონისძიებების უზრუნველყოფა).

პრობლემურია ასევე სახანძრო უსაფრთხოების საკითხები, რადგან ამ დრომდე არაა განსაზღვრული ნუსხა იმ კულტურული მემკვიდრეობისა, რომელთათვისაც აუცილებელია სახანძრო დაცვის შექმნა. ამასთან უცნობია იმ სამსახურების ცოდნა/გამოცდილების შესახებ, თუ როგორ უნდა მოახდინონ ხანძრის ლიკვიდაცია კულტურული მემკვიდრეობის ობიექტზე, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე.

18 კატასტროფის რისკის შემცირების სისტემის ინსტიტუციური შესაძლებლობების შეფასების ანალიზი; გაეროს განვითარების პროგრამა, 2014. გვ-92. http://police.ge/files/pdf/sagangebos_statistika/kanonebi/DRR%20angarishi.pdf

12.1 რეკომენდაციები

კულტურული მემკვიდრეობის დაცვა კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს უმთავრესი ფუნქციაა, ეს ეხება როგორც მშვიდობიანობის პერიოდს, ასევე საგანგებო სიტუაციებს, ამიტომ მისი მზაობა ყოველთვის ყველა სიტუაციაზე უნდა იყოს მორგებული.

როგორც ვნახეთ, საგანგებო სიტუაციისას, კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების დაცვის ღონისძიებებს ხელმძღვანელობს კულტურის სამინისტრო, შესაბამისად უკეთესი იქნება, თუ მის შემადგენლობაში იარსებებს **სტრუქტურული ერთეული**, პირობითი სახელით - **რისკის მართვის ერთეული**, რომლის კომპეტენციაც იქნება, მსგავს სიტუაციებში ცოდნაზე დაფუძნებული რეაგირების მოხდენა. ამ სტრუქტურულმა ერთეულმა უნდა იარსებოს მუდმივად, მან თავის შემადგენლობაში შეიძლება გააერთიანოს რამდენიმე პროფესიის ადამიანი (გეოლოგი, ინჟინერი, არქეოლოგი, მენეჯერი და ა. შ.), რომელთა მთავარი ამოცანა იქნება ანალიტიკური საქმიანობა, კერძოდ, კატასტროფებზე ეფექტური რეაგირების გეგმების შემუშავება, კვლევების წარმოება და კონკრეტული ინსტრუქციების შემუშავება სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ-ებისათვის, მათთვის კატასტროფის რისკის მართვის გეგმების შემუშავებაში დახმარების აღმოჩენა და შემდგომში მათი დანერგვის ხელშეწყობა და მონიტორინგი. შესაძლებელია პარალელურად სპეციალური საუწყებათაშორისო კომისიის შექმნაც, რომელშიც შევა ყველა იმ უწყების წარმომადგენელი, რომელიც მონაწილეობს უსაფრთხოების ეროვნული გეგმით გათვალისწინებულ ფუნქცია N13 -ში. ამ კომისიას უხელმძღვანელებს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროს **სტრუქტურული ერთეული**. კომისია პერიოდულად განიხილავს იმ გამოწვევებს, რომელიც იარსებებს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვის კუთხით საგანგებო სიტუაციებისას. სტრუქტურულ ერთეულს, როგორც ხელმძღვანელ უწყებას, დაევალება, რომ დაეხმაროს უწყებებს იმ ცოდნით, რომელსაც შეიმუშავებს ანალიტიკური საქმიანობის საფუძველზე.

რა უნდა დაევალოს სტრუქტურულ ერთეულს?

12.1-1 რეაგირების გეგმა

სტრუქტურულ ერთეულს უნდა დაევალოს **საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის მომზადება**. აღნიშნულ გეგმაში გაწერილი უნდა იყოს ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფების **თითოეულ სახეობაზე რეაგირების სპეციფიკური მეთოდები** (მიწისძვრა, წყალდიდობა, ხანძარი და ა. შ.).

გეგმა უნდა ეხებოდეს არა მარტო მოძრავი კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებს, მასში ასევე უნდა იყოს იმ ღონისძიებათა ჩამონათვალი, რომლითაც საგანგებო სიტუაციებში მაქსიმალურად ნაკლები ზიანი მიადგება უძრავ კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებს.

რეაგირების გეგმაში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა ეჭიროს მშვიდობიანობის დროს **კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების გამაგრება/მომზადებას შესაძლო კატასტროფებთან დაკავშირებით**, ეს ეხება როგორც მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას, ასევე სათანადო ცოდნის გავრცელებას საზოგადოებაში.

ის ადამიანები, რომლებიც მოღვაწეობენ აღნიშნულ ობიექტზე (მუზეუმები, ეკლესია-მონასტრები, ციხე-სიმაგრეები და ა. შ.), აუცილებლად უნდა ფლობდნენ იმ ცოდნას, რომლითაც შეძლებენ ზიანის მაქსიმალურად შემცირებას.

12.1-2 სახელმძღვანელო დოკუმენტების შექმნა

სტრუქტურულმა ერთეულმა უნდა შექმნას ლიტერატურა – სახელმძღვანელო პრინციპები, კონკრეტული კატასტროფისას როგორ უნდა მოახდინოს რეაგირება კონკრეტული პროფესიის ადამიანმა (პოლიციელი, მეხანძრე, მაშველი, ჯარისკაცი) კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების დასაცავად. როდესაც ისინი გადიან მისაღებ კურსებს თავიანთ პროფესიაში, **სასწავლო მასალები/ტესტირება/გამოცდა** უნდა შეიცავდეს აღნიშნულ მასალასაც.

სახელმძღვანელო პრინციპების მხოლოდ თეორიული სწავლება არაა საკმარისი გამოსადეგი ცოდნის შესაქმნელად. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ პრაქტიკული ელემენტების გამოყენებით მოხდეს ინფორმაციის მიწოდება მაშველისთვის, მეხანძრისთვის, პოლიციელისთვის, ჯარისკაცისთვის და ა. შ. ამისთვის საჭიროა, მათ რეგულარულად უტარდებოდეთ ტრენინგ-კურსები, რომელიც გააერთიანებს თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებს. მეტი ეფექტურობისთვის აღნიშნული პროფესიის ადამიანები უნდა ჩაერთონ **სიმულაციურ სწავლებებში კულტურული მემკვიდრეობის მართვის ინსტიტუციებთან (მუზეუმი, ძეგლი, ნაკრძალი, არქივი, ბიბლიოთეკა)** თანამშრომლობით კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დასაცავად. საბოლოოდ, თითოეულმა აქტივობამ (სამოქმედო პრინციპების თეორიულად სწავლებამ, პრაქტიკული ელემენტების დაუფლებამ და სიმულაციურ სწავლებებში აქტიურმა მონაწილეობამ) საგანგებო სიტუაციისას კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სპეციფიკა უნდა აქციოს მათი პროფესიული ცოდნის განუყოფელ ნაწილად - ისეთად, როგორიცაა ადამიანის პირველადი დახმარება.

12.1-3 რისკების შეფასება

კულტურული მემკვიდრეობის უძრავ/მოძრავი ობიექტების მდგომარეობის შესწავლა (კლიმატის, სიძველის და ა. შ.) მათ მიმართ მოსალოდნელი საფრთხეების გათვალისწინებით, მაგალითად, ვარძიას ყველაზე მეტად რა ტიპის კატასტროფა უქმნის საფრთხეს (**საფრთხეების კლასიფიკაციის განსაზღვრა**). ეს შესაძლოა მოხერხდეს **რაიონული/რეგიონული სამსახურების** მიერ - მათ ეს უნდა დაავალოს სამინისტროს სტრუქტურულმა ერთეულმა, რადგან საგანგებო სიტუაციაზე რეაგირება ცენტრალურ ორგანოებთან ერთად ადგილობრივი თვითმმართველობების ვალდებულებაცაა, მათაც უნდა ჰქონდეთ ლოკალური სტრუქტურული ერთეულები ან, უბრალოდ, კულტურის სამსახურში უნდა იყოს კულტურის სამინისტროს **სტრუქტურული ერთეულის მიერ მომზადებული რამდენიმე კადრი.**

12.1-4 სსიპ–ების ზედამხედველობა

სტრუქტურულ ერთეულს უნდა დაევალოს სამინისტროს შემადგენლობაში არსებული **სსიპ-ების ზედამხედველობა**, რათა პერმანენტულად შემოწმდეს მათი მზაობა, რამდენად შეასრულებენ საკუთარ უფლებამოსილებებს სრულყოფილად საგანგებო სიტუაციისას.

12.1-5 პირველადი რეაგირების ჯგუფები

სტრუქტურულმა ერთეულმა, ასევე უნდა უზრუნველყოს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე **მუდმივმოქმედი პირველადი რეაგირების ჯგუფების ჩამოყალიბება**, რათა კრიზისის

დაძლევის ღონისძიებები იყოს დეცენტრალიზებული მეტი ეფექტურობისთვის.

პირველადი რეაგირების ჯგუფები შესაძლოა შეიქმნას მოხალისეობრივ საწყისებზე. მასში შემავალ პირებს უნდა ასწავლონ როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად, თუ როგორ უნდა დაიცვან საგანგებო სიტუაციებში კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები. მათი მომზადება უნდა ხდებოდეს რეგულარულად. სპეციალური კურსების გავლის შემდეგ უნდა შეიქმნას რეგიონული/რაიონული რაზმები და მათ უნდა გადაეცეთ სპეციალური დამცავი აღჭურვილობა და საიდენტიფიკაციო ბარათები, რათა შექმნილ კრიზისულ ვითარებაში თითოეული წევრის იდენტიფიცირება სწრაფად მოხდეს. მსგავსი მიდგომა აპრობირებულია დასავლეთის ქვეყნებში და აღნიშნული მოხალისეთა რაზმები იქმნება „ლურჯი ფარის“ ეროვნული კომიტეტების ქვეშ.

მნიშვნელოვანია, რომ სტრუქტურულმა ერთეულმა სწავლებები ჩაუტაროს ეროვნულ გვარდიას და საგანგებო სიტუაციების სამსახურის მაშველებს, თუ როგორ უნდა შეძლონ მათ რეაგირება საომარი მდგომარეობის ან ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფებისას კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კუთხით. ამასთან, სამხედრო მოსამსახურეები სავალდებულოდ უნდა ფლობდნენ ინფორმაციას, **ჰაგის კონვენციის პირველი და მეორე ოქმის სამოქმედო პრინციპებზე და მექანიზმებზე.**

12.1-6 როგორ მოხდება სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის განხორციელება

საგანგებო სიტუაციის დადგომისთანავე შეტყობინება უნდა გაეგზავნოს კულტურის სამინისტროს. იგი საუწყებათაშორისო ოპერატიულ ცენტრში წარგზავნის **სტრუქტურულ ერთეულს.**

ერთეული საუწყებათაშორისო ცენტრში შექმნის საგანგებო შტაბს, რომელსაც წარუდგენს რეაგირების გეგმას და ამ გეგმით წარმართავს შტაბის ფუნქციონირებას.

საგანგებო შტაბი დაუყოვნებლივ მოახდენს ადგილობრივ დონეზე არსებული სამსახურებისა და პირველადი რეაგირების ჯგუფების მობილიზებას კატასტროფის ადგილმდებარეობის შესაბამისად, რომელსაც დისტანციურად ან ადგილზე წარმომადგენლების მეშვეობით მიუთითებს, თუ როგორ უნდა იმოქმედონ პირველადად კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის დასაცავად.